

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი



ნოდარი ნონიკაშვილი

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

მოდული: ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი

სამაგისტრო ნაშრომი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის საკითხები
შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ მაგალითზე

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნადია კვატაშიძე

თბილისი 2020

ანოტაცია

საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მიზანია ორგანიზაციის საქმიანობის ფინანსური შედეგების ასახვა, რომელიც გამოადგება მომხმარებელთა ფართო წრეებს, ეკონომიკური გადაწყვეტილების მისაღებად. ფინანსური ანგარიშგება ასევე გვიჩვენებს საწარმოს ხელმძღვანელების მიერ მათთვის მინდობილი რესურსების მართის შედეგებს.

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია კონსოლიდირებული ანგარიშგების არსი და მნიშვნელობა. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარედგინება საწარმოთა ჯგუფის მიერ, ისე თითქოს აღნიშნული საწარმოები არიან ერთი ეკონომიკური ერთეული, ასეთ შემთხვევაში არსებობს მშობელი და შვილობილი კომპანიები. ასევე ნაშრომში საუბარია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების ზოგად და ძირითად პრინციპებზე.

მეორე თავის დასაწყისში მიმოხილულია ღვინის ბიზნესი საქართველოში და მისი განვითარების პერსპექტივები. განხილულია ერთ-ერთი ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიის შპს „კახური მეღვინეობის“ მაგალითი და მისი ფინანსური და კონსოლიდირებული ანგარიშგებებია და წარმოდგენილი. გარჩეულია კონკრეტული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ცალკეული მუხლები, მათი შესადარისობა საერთაშორისო სტანდარტებთან და აღრიცხვის სისწორე. ასევე მოცემულია გრაფიკები და ცხრილები მეტი თვალსაჩინოებისათვის.

დასკვნაში წარმოდგენილია ერთ-ერთი ქართული ღვინის კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ანალიზი, სადაც მოკლედაა მიმოხილული ის ძირითადი ასპექტები, რომლებიც უნდა გავითვალისწინოთ მსგავს დარგში მოღვაწე კომპანიების ფუნქციონირებისას. მაგალითად მარაგები, ძირითადი საშუალებები, ბიოლოგიური და არამატერიალური აქტივები და სხვა.

Annotation

The purpose of the overall financial statements is to reflect the financial results of the organization's activities, which will be useful to a wide range of consumers to make economic decisions. The financial statements also show the results of the management of the resources entrusted to them by the heads of the enterprise.

The essence and significance of consolidated accounts are discussed in the master thesis. The consolidated financial statements are presented by a group of enterprises, as if these enterprises are one economic entity, in which case there are parent and subsidiary companies. The paper also discusses the general and basic principles of preparing consolidated financial statements.

The beginning of the second chapter reviews the wine business in Georgia and its development prospects. The example of one of the Georgian wine companies "Kakhetian Winery" Ltd is discussed and its financial and consolidated reports are presented. Separate items of specific financial statements, their comparability with international standards and accuracy of accounting are selected. Graphs and tables are also provided for more visuals.

The report presents an analysis of the consolidated financial statements of one of the Georgian wine companies, which briefly reviews the main aspects that should be taken into account when operating companies operating in a similar field. For example, stocks, fixed assets, biological and intangible assets, etc.

შინაარსი

შესავალი.....	5
თავი 1. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების ძირითადი პრინციპები .6	
1.1. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსი.....	6
1.2 კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	9
1.3. კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება.....	18
თავი 2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ მაგალითზე	26
2.1 მეღვინეობა და ღვინის ბიზნესი საქართველოში.....	26
2.2 შპს კახური ტრადიციული მეღვინეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	28
დასკვნა.....	51
გამოყენებული ლიტერატურა	54
დანართი	55

შესავალი

იმისათვის რომ ნებისმიერი კომპანიის მენეჯმენტმა და ხელმძღვანელობამ თავადვე შეაფასოს საკუთარი კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, ამისათვის აუცილებელია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშების მომზადება. როდესაც საწარმო აკონტროლებს ერთ ან რამდენიმე სხვა საწარმოს, ასეთ დროს აუცილებელია მომზადდეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, რათა გაკეთებული იქნას სწორი პროგნოზები და შემუშავდეს სამომავლო გეგმები.

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის ობიექტია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, მისი არსი, ელემენტების აღიარება და შეფასება, მისი მომზადების პრინციპები და კომპანიის მენეჯმენტის მიერ, მისი გამოყენების სარგებლიანობის ჩვენება.

პროექტის თეორიულ და მეთოდოლოგიურ ბაზას წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ შემუშავებული ბუღალტრული აღრიცხვის (ბასს) და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების კომიტეტის ინტერპრეტაციები.

სამაგისტრო ნაშრომი შედგება 50 გვერდისაგან. სამაგისტრო ნაშრომი იწყება შესავლით, მასში განხილულია ორი თავი - თავი 1. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების ძირითადი პრინციპები და თავი 2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ერთ-ერთი ღვინის მწარმოებელი კომპანიის მაგალითზე. 1-ლი თავი შედგება ორი ქვეთავისაგან: კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგება და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება და სამართლიანი წარდგენა. მეორე თავი მთლიანად დათმობილია პრაქტიკული ნაწილისათვის.

მეორე თავის დასაწყისში განხილულია ღვინის ბიზნესის და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში. შემდეგ მოყვანილია კონკრეტული ღვინის მწარმოებელი კომპანიის მაგალითი, განხილულია მშობელი და შვილობილი კომპანიების სტრუქტურა. განხილული და გაანალიზებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ელემენტები, მისი მომზადების სტრუქტურა, სააღრიცხვო პოლიტიკა და მაგალითები.

თემის ბოლოს არის დასკვნა რეკომენდაციებით და გამოყენებული ლიტერატურა, ასევე მოცემულია ზოგიერთი სახის დანართი, რომელიც დაგვეხმარება ზოგიერთი საკითხის უკეთ გაგებაში.

თავი 1. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების ძირითადი პრინციპები

1.1. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსი

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზანია არსებულ და პოტენციურ ინვესტორებს, კრედიტორებს, გამსესხებლებსა და სხვადასხვა ანგარიშვალდებულ პირებს მიაწოდოს ინფორმაცია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, რომელიც მათ საშუალებას მისცემს მათ ხელთ არსებული რესურსებით საწარმო/კომპანია ეფექტურად მართონ. ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის ფინანსური შედეგების სტრუქტურულად ჩამოყალიბებული სურათი. თუმცა როდესაც საქმე გვაქვს საწარმოთა გაერთიანებასთან (ჯგუფთან), რომელშიც ერთი არის მშობელი, ხოლო მეორე - შვილობილი კომპანია, ჩვეულებრივი ფინანსური ანგარიშგება არ იძლევა სრულყოფილ ინფორმაციას ცალკეულ ფაქტებსა და ოპერაციებზე. საწარმოთა ჯგუფი არის კომპანიების გაერთიანება სადაც დედა საწარმო მართავს ერთ ან რამდენიმე შვილობილ კომპანიას. მშობელი ანუ დედა კომპანია არის ის საწარმო რომელიც აკონტროლებს სხვა შვილობილ საწარმოებს. მართალია საწარმოთა ჯგუფის წევრები დამოუკიდებელ იურიდიულ სუბიექტებს წარმოადგენენ, თუმცა ეკონომიკური თვალსაზრისით რამდენიმე საწარმო შეიძლება არ იყოს განცალკევებული. აქციების საკმარისი რაოდენობის ფლობა მაკონტროლებელ საწარმოს საშუალებას აძლევს დანიშნოს მეორე საწარმოს დირექტორი და გადაწყვიტოს რამდენი დივიდენდი უნდა გაიცეს აქციონერზე. ასეთი კონტროლის დონე პირველ საწარმოს საშუალებას აძლევს ისე მართოს მეორე საწარმო, როგორც მისი ქვედანაყოფი. ამიტომაც ხშირად ვხვდებით ასეთ საწარმოებს შორის სხვადასხვა სახის ოპერაციებს, როგორცაა შემოსავლებითა და ხარჯებით მანიპულირება, მათთვის ხელსაყრელი ფასებით ოპერაციების განხორციელება და ა.შ. ყოველივე ეს ამახინჯებს საწარმოს ფინანსურ შედეგებს და არასწორ წარმოდგენას უქმნის კომპანიის მენეჯმენტს.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს ამგვარი შემთხვევები საკმაოდ ხშირია, რაც განაპირობებს იმის აუცილებლობას, რომ მშობელმა საწარმომ შეადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ვიანიდან ეფექტური მართვისათვის აუცილებელია ობიექტურად მიეწოდოს ინფორმაცია როგორც გარე, ასევე შიდა მომხმარებლებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოთა ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება, რომელშიც მშობელი საწარმოსა და მისი შვილობილი საწარმოების აქტივები,

ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯები და ფულადი ნაკადები წარმოდგენილია, როგორც ერთი ეკონომიკური სუბიექტის აქტივები, ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯები და ფულადი ნაკადები (ფასს 10, დანართი ა). მისი წარდგენით კომპანიის მენეჯმენტს საშუალება ეძლევა მიიღოს რაციონალური და ობიექტური გადაწყვეტილებები.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მზადდება ინვესტიციების თვითღირებულების ჩანაცვლებით ამ ინვესტიციის საფუძვლად აღებული ცალკეული აქტივებითა და ვალდებულებებით. თუ შვილობილი საწარმო მხოლოდ ნაწილობრივ ეკუთვნის მშობელ საწარმოს, მაშინ ამ შვილობილი საწარმოს ყველა აქტივი და ვალდებულება კონსოლიდირდება, მაგრამ ამ წმინდა აქტივებში ცალკე არის წარმოდგენილი არამაკონტროლებელ აქციონერთა წილი. (ACCA F7). კონსოლიდირებული ანგარიშგების წარმოდგენისას საწარმოთა გაერთიანების შიგნით განხორციელებული ოპერაციები არ გაითვალისწინება და ანგარიშგებაში ჩართული იქნება მხოლოდ ისეთი შემოსავლები, ხარჯები, აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშვა ჯგუფის სხვა საწარმოებთან ვაჭრობის დროს.

კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადების მიზანია:

- მშობელი და მისი შვილობილი საწარმოების შესახებ ფინანსური ინფორმაციის იმდაგვარად წარმოდგენა, თითქოს ერთი სამეურნეო ერთეული ყოფილიყოს
- ჯგუფის მიერ კონტროლირებადი ეკონომიკური რესურსების გამოყოფა
- ჯგუფის საერთო ვალდებულებების ჩვენება
- ჯგუფის საერთო შედეგების ჩვენება ხელმძღვანელობისათვის მის ხელთ არსებულ რესურსებთან ერთად

ფასს 10 განსაზღვრავს შემთხვევებს თუ როდის და რა შემთხვევებს ევალებათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოთა ჯგუფს. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უნდა მომზადდეს იმ შემთხვევაში, თუ მშობელი საწარმო აკონტროლებს შვილობილ საწარმოებს. ფასს-10ის მიხედვით კონტროლი არის კონსოლიდაციის ერთადერთი აუცილებელი პირობა და იგი მოიცავს 3 კომპონენტს:

- უფლებამოსილება, ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებაში
- ექვემდებარება რისკებს, რომელიც ეხება შვილობილი საწარმოში მისი მონაწილეობიდან მიღებულ ცვალებად შემოსავლებს.

- შესაძლებლობა აქვს, გავლენა მოახდინოს შემოსავლებზე.

ინვესტირებული საწარმოს კონტროლი ნიშნავს, რომ ინვესტორს გააჩნია კონტროლი ინვესტირებულ საწარმოზე, თუ ინვესტორი ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, ან გააჩნია ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება და ასევე ამ შემოსავლების სიდიდეზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა, ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით თავისი უფლებამოსილების მეშვეობით.

კონტროლის არსებობის დადგენაში საწარმოს შეიძლება დაეხმაროს შემდეგი ფაქტორების განხილვა:

- ინვესტირებული საწარმოს მიზანი და სტრუქტურა
- რომელია რელევანტური საქმიანობები და როგორ მიიღება გადაწყვეტილებები
- აქვს თუ არა ინვესტორ იმის უფლებები, რომ მიმდინარე მომენტებში მართოს რელევანტური საქმიანობები და მიიღოს გადაწყვეტილებები
- ექვემდებარება თუ არა რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, ან საერთოდ გააჩნია თუ არა ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება
- გააჩნია თუ არა ინვესტორს იმის შესაძლებლობა, რომ ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით მინიჭებული უფლებამოსილება გამოიყენოს თავისი შემოსავლების სიდიდეზე ზემოქმედების განსახორციელებლად.

გამონაკლისს წარმოადგენენ ის საწარმოები, რომლებიც აკმაყოფილებენ ქვემოთ ჩამოთვლილ ყველა პირობას:

- მშობელი საწარმო თვითონ წარმოადგენს შვილობილ საწარმოს და მისი ყველა სხვა მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ მშობელი საწარმო არ წარადგენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ამის წინააღმდეგ არ წასულან;
- მშობელი საწარმოს სავალო ან წილობრივი ინსტრუმენტები არ იყიდება ფასიანი ქაღალდების საჯარო ბაზარზე
- მშობელი საწარმო თავის ფინანსურ ანგარიშგებას ფასიანი ქაღალდების კომისიაში ან სხვა მარეგულირებელ ორგანოში არც ადრე წარადგენდა და არც ახლა იმყოფება წარდგენის

პროცესში, ფასიანი ქაღალდების საჯარო ბაზარზე რაიმე სახის ფინანსური ინსტრუმენტების გამოშვების მიზნებისათვის;

- მისი საბოლოო მშობელი საწარმო, ან რომელიმე შუალედური მშობელი საწარმო ადგენს ფასს შესაბამის საჯაროდ ხელმისაწვდომ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელშიც შვილობილი საწარმოები ან კონსოლიდირებულია, ან შეფასებულია რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად.

1.2 კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ იგი გვიჩვენებს მშობელი და შვილობილი საწარმოების აქტივებსა და ვალდებულებებს და ეხება ამ კომპანიების ინდივიდუალური ანგარიშგებების გაერთიანება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ შიდა ჯგუფური ოპერაციების ასახვა არ ხდება კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში და იგი მოიცავს მხოლოდ მესამე მხარეთა დებიტორულ/კრედიტორულ დავალიანებებს.

კონსოლიდაციის დაწყებამდე მომზადებული უნდა იყოს მშობელი და შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგება ერთი და იგივე საანგარიშგებო თარიღით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შვილობილი საწარმოს საკუთრებაში არსებული ინვესტიცია, რომელიც შესულია მშობელი საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ჩანაცვლებულია შვილობილი საწარმოს წმინდა აქტივებით. მშობელი საწარმომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უნდა მოამზადოს ერთნაირი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებით ანალოგიური ოპერაციებისა და ანალოგიურ ვითარებაში მომხდარი სხვა მოვლენების მიმართ. ხოლო შვილობილი საწარმოს საკუთრებაში არსებული ინვესტიციების თვითღირებულება ჩანაცვლებული უნდა იყოს ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალითა და რეზერვებით. ინვესტირებული საწარმოს კონსოლიდაციის პროცესი უნდა დაიწყოს იმ თარიღიდან, რომელ პერიოდშიც ინვესტორი მოიპოვებს კონტროლს ინვესტირებულ საწარმოზე და უნდა შეწყდეს მაშინ, როდესაც ინვესტორი კონტროლს დაკარგავს ინვესტირებულ საწარმოზე.

ყოველივე ამის შედეგად კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია გვიჩვენებს საწარმოთა ჯგუფის მთლიან წმინდა აქტივებს, მთლიან სააქციო კაპიტალს რაც ყოველთვის მშობელი საწარმოს სააქციო კაპიტალის ტოლია და ჯგუფის

გაუნაწილებელ მოგებას (მშობელი საწარმოს წარსული პერიოდის მოგებას დამატებული შვილობილი საწარმოს შეძენის შემდეგ მიღებული მოგება).

მშობელმა საწარმომ კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არამაკონტროლებელი წილი უნდა წარადგინოს საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში, მშობელი საწარმოს მესაკუთრეთა კაპიტალისგან განცალკევებით.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში:

- ა) გაერთიანებულია მშობელი საწარმოსა და მისი შვილობილი საწარმოების აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლების, ხარჯებისა და ფულადი ნაკადების ანალოგიური მუხლები;
- ბ) ელიმინირებულია მშობელი საწარმოს მიერ თითოეულ შვილობილ საწარმოში ფლობილი ინვესტიციების საბალანსო ღირებულება;
- გ) მთლიანად ელიმინირებულია შიდაჯგუფური აქტივები და ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავლები, ხარჯები და ფულადი ნაკადები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფში შემავალ საწარმოთა შორის განხორციელებულ ოპერაციებთან.

იმ შემთხვევაში თუ მშობელ და შვილობილ კომპანიას განსხვავებული სააღრიცხვო პოლიტიკა ექნებათ, აუცილებელია რომ გაკეთდეს კორექტირებები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შვილობილი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში, რათა ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში იქნას მოყვანილი.

მაგალითისათვის განხილულია ერთ-ერთი კომპანიის საწარმოების ფინანსური მდგომარეობა

2018 წლის 31 დეკემბრის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ათასი ლარი)

დასახელება	მშობელი	შვილობილი
გრძელვადიანი აქტივები	60	50
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში თვით.	50	-
მიმდინარე აქტივები	40	40
	150	90
ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალი (1ლარიანი აქციები)	100	40
გაუნაწილებელი მოგება	30	10
მიმდინარე ვალდებულებები	20	40
სულ	150	90

2019 წლის 31 დეკემბერს საწარმომ შეიძინა შვილობილი საწარმოს ყველა აქცია 50,000 ლარის თვითღირებულებით.

კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადებისას „ინვესტიცია შვილობილ საწარმოში“ ანგარიშის ნაშთი მშობელი საწარმოს ანგარიშგებაში გადავა და ჩანაცვლებული იქნება შესაბამისი აქტივებითა და ვალდებულებებით, რომელსაც ეს ინვესტიცია წარმოადგენს. შედეგად შვილობილ საწარმოში არსებული ინვესტიციების თვითღირებულება ანულირებული იქნება მშობელი საწარმოს ჩვეულებრივი რეზერვებითა და სააქციო კაპიტალით. გაერთიანებული ანგარიშგება კი საშუალებას მოგვცემს დავინახოთ:

- გაერთიანებული ჯგუფის (მშობელს + შვილობილი კომპანია) წმინდა აქტივები;
- გაერთიანებული სააქციო კაპიტალი, რომელიც უდრის მხოლოდ მშობელი საწარმოს კაპიტალს
- გაუნაწილებელი მოგება, რომელიც შედგება ჯგუფი მიერ მიღებული მოგებისაგან. ჩვენი მაგალითიდან გამომდინარე იგი იქნება \$ 30,000, ვინაიდან შვილობილი საწარმო საანგარიშგებო თარიღისათვის არის შექმნილი და ამდენად არ არსებობს შექმნის შემდგომ რაიმე სახის შემოსავლები, რომელთა ასახვა შეიძლებოდა ამ ჯგუფის თანხებში.

შევადგინოთ მშობელი საწარმოს 2019 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება: (ათასი ლარი)

დასახელება	თანხა
გრძელვადიანი აქტივები(60,000 + 50,000)	110
მიმდინარე აქტივები (40,000 + 40,000)	80
ჯამი	190
სააქციო კაპიტალი)	100
გაუნაწილებელი მოგება	30
მოკლევადიანი ვალდებულებები \$(20,000 + 40,000)	60
ჯამი	190

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ შვილობილი საწარმოს სააქციო კაპიტალი არცერთ შემთხვევაში არ აისახება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ სააქციო კაპიტალის ციფრებში. ასევე ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს მშობელი საწარმოში ფლობილი აქციებისა და შვილობილი საწარმოს წმინდა აქტივების ღირებულებები. როგორც წესი საწარმოს ღირებულება აღემატება მისი წმინდა აქტივების ღირებულებას. სწორედ მათ შორის განსხვავება არის **გუდვილი**. ფასს 3-ის დანართი „ა“ გუდვილს განმარტავს, როგორც აქტივს, რომელიც წარმოადგენს საწარმოთა გაერთიანებაში შექმნილი სხვა აქტივებიდან

წარმოქმნილ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, რომლის ცალკე იდენტიფიცირება და აღიარება შეუძლებელია. იგი ისეთ აქტივებს გამოხატავს, რომელიც ნაჩვენები არ არის შეძენილი საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. შეძენისას მიღებული გუდვილი გამოითვლება შვილობილი საწარმოს ღირებულების შედარებით მის წმინდა აქტივებთან. მშობელი საწარმოს მიერ შვილობილი საწარმოს სრულად შეძენის შემთხვევაში გუდვილი შემდეგნაირად გამოითვლება:

ინვესტიციის თვითღირებულება = შვილობილი საწარმოს ღირებულება / შვილობილი საწარმოს წმინდა აქტივები.

როდესაც ხდება საწარმოთა გაერთიანება და შვილობილი საწარმოს 100%-ზე ნაკლები აქციებია შეძენილი, ასეთ დროს აღნიშნული შვილობილი საწარმოს ღირებულება მოიცავს ორ ელემენტს:

1. მშობელი საწარმოს მიერ შეძენილი ნაწილს ღირებულებას
2. არამაკონტროლებელ წილს, ანუ შვილობილი საწარმოს ის ნაწილი, რომელიც მშობელ საწარმოს არ შეუძენია.

არსებობს გუდვილის გამოთვლის ორი მეთოდი:

- წმინდა აქტივების პროპორციული მეთოდი
- რეალური ღირებულების მეთოდი

პირველი ვარიანტის გამოყენების შემთხვევაში ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოითვლება მხოლოდ მშობელი საწარმოს გუდვილი პროპორციულად, რეალური ღირებულების მეთოდის გამოყენებისას კი ვითვლით ჯგუფის მთლიან გუდვილს, ანუ ღირებულებას, რომელიც სრულად არის ასახული და ეს არის აქტივი, რომელსაც ჯგუფი მთლიანად აკონტროლებს.

არსებობს ჩვეულებრივი და უარყოფითი გუდვილი. გუდვილი კაპიტალიზდება, როგორც არამატერიალური გრძელვადიანი აქტივი, ყოველწლიურად მოწმდება შესაძლო გაუფასურებაზე და სტანდარტებით არ არის დაშვებული გუდვილის ამორტიზება. ასევე შეძენის შემდგომ პერიოდში მიღებული გუდვილის გაუფასურება ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა იყოს ასახული. თუ როგორ უნდა მოხდეს გაუფასურების ზარალის ბუღალტრული აღრიცხვა, დამოკიდებულია არამაკონტროლებელი წილის ღირებულების განსაზღვრის პოლიტიკაზე

- წმინდა აქტივების პროპორციული მეთოდი (ნაწილობრივი გუდვილი)

ბუღალტრულად გატარებებში ასახვა მოხდება შემდეგნაირად: დებეტის მხარეს მოხვდება ჯგუფის რეზერვები, ხოლო კრედიტის მხარეს იქნება მიღებული გუდვილი.

რაც შეეხება უარყოფით გუდვილს, იგი წარმოიშობა მაშინ, როდესაც ინვესტიციის თვითღირებულება ნაკლებია შეძენილი წმინდა აქტივების ღირებულებაზე. პრაქტიკიდან გამომდინარე უარყოფითი გუდვილის წარმოქმნის ძირითად შემთხვევაში არის ის რომ არასწორადაა გამოთვლილი აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება. ასეთ დროს როგორც წესი, სტანდარტი მოითხოვს, რომ გამოთვლები გადაისინჯოს. ამგვარი მიმოხილვის შედეგად ნებისმიერი დარჩენილი უარყოფითი გუდვილი აისახება პირდაპირ მოგებისა და ზრიალის ანგარიშგების კრედიტში.

იმისათვის რომ გუდვილის სიდიდე სწორედ იყოს გამოთვლილი, აუცილებელია:

- შვილობილი საწარმოს შესაძენად გადახდილი კომპენსაცია ასახული იყოს რეალური ღირებულებით
- შვილობილი საწარმოს შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და ვალდებულებები ასახული უნდა იყოს მათი რეალური ღირებულებით.

რეალური ღირებულების განმარტებას გვამღვეს ფასს 13 და არის შემდეგნაირი: ფასი, რომელიც მიღებულია ან გადახდილი იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, შეფასების თარიღისათვის ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს.

შვილობილი საწარმოს იდენტიფიცირებადი აქტივები და ვალდებულებები კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში რეალური ღირებულებით აისახება შემდეგი მიზეზების გამო:

- როგორც წესი კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადება ხდება ჯგუფის პოზიციიდან გამომდინარე და ცალკეული საწარმოების მხრიდან. ამასთანავე ჯგუფის ანგარიშგებისათვის აუცილებელია რომ კონსოლიდირებული ანგარიშგება ასახავდეს შვილობილი საწარმოს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებას ჯგუფისათვის და არა თავდაპირველ ღირებულებას შვილობილი საწარმოსათვის. ჯგუფისათვის თვითღირებულება კი არის მათი რეალური ღირებულება შეძენის თარიღისათვის.
- იმისათვის რომ შეძენილი გუდვილი სწორად იყოს აღრიცხული, აუცილებელია რომ გუდვილი შეფასებული იყოს რეალური ღირებულებით. თუ ეს მეთოდი არ იქნება გამოყენებული მაშინ გუდვილის ღირებულება საერთოდ დაკარგავს აზრს. რადგანაც შეძენილი გუდვილი არის სხვაობა შეძენილი შვილობილი კომპანიის ღირებულებასა და ამ კომპანიის იდენტიფიცირებად აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებას შორის.

ამდენად კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახული იდენტიფიცირებადი აქტივები და ვალდებულებები არის შეძენილი საწარმოს ის აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც არსებობდა შეძენის თარიღისათვის და ისინი შეფასდებიან რეალური ღირებულებით, რომელიც ასახავს შეძენის თარიღისათვის არსებულ პირობებს. რაც შეეხება შემდგომ მოვლენებს, ისინი გავლენას არ ახდენენ შეძენის თარიღისათვის დადგენილ რეალურ ღირებულებაზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ სრული გუდვილის მეთოდი ითვალისწინებს მთლიანად ჯგუფის გუდვილის ასახვას, რომელიც ეკუთვნის მაკონტროლებელ საწარმოს და ასევე არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს, ანუ შვილობილ კომპანიებს

რეალური ღირებულების მეთოდი (სრული გუდვილით) გამოყენებისას დებეტში ხდება ჯგუფის რეზერვების ასახვა, რაც გულისხმობს გაუფასურების რეზერვს, მისაკუთვნიებელ მშობელ საწარმოზე. კრედიტში კი აისახება მიღებული გუდვილი

არამაკონტროლებელი წილი არის შვილობილი საწარმოს სააქციო კაპიტალი, რომელიც მშობელ საწარმოს არ ეკუთვნის. იმისთვის რომ შევავსოთ საწარმოს არამაკონტროლებელი წილი, ფასს 3-ით დაშვებულია რომ ეს უნდა მოხდეს ან რეალური ღირებულებით ან შეძენილი საწარმოს იდენტიფიცირებად წმინდა აქტივებში არამაკონტროლებელი წილის პროპორციულად.

იმისათვის, რომ შევავსოთ არამაკონტროლებელი წილი რეალური ღირებულებით, ამისათვის აუცილებელია შევაჯამოთ საანგარიშგებო თარიღისათვის ორი ელემენტი: წილი წმინდა აქტივებში და არამაკონტროლებელ წილზე მისაკუთვნიებელი გუდვილის ნაწილი. რაც შეეხება არამაკონტროლებელი წილის შეფასებას პროპორციული მეთოდით, ამ შემთხვევაში ასეთი წილი ფასდება არამაკონტროლებელი წილის ნაწილით წმინდა აქტივებში საანგარიშგებო თარიღისათვის.

მაგალითისთვის განვიხილოთ სიტუაცია, როდესაც A საწარმომ შეიძინა B საწარმოს კაპიტალის 80% 4,500 ლარად. B საწარმოს კაპიტალის მდგომარეობა კი წლის ბოლოსათვის შემდეგნაირი იყო: [1; 186] (ათასი ლარი)

კაპიტალი	შეძენისას	წლის ბოლოს
ჩვეულებრივი აქციები	800	800
საემისიო კაპიტალი	1,200	1,200

გაუნაწილებელი მოგება	3,400	4,000
სულ საკუთარი კაპიტალი	5,400	6,000

B საწარმოს აქტივების რეალური ღირებულების დადგენისას აღმოჩნდა, რომ შენობის რეალური ღირებულება 40 ათასი ლარით აღემატება საბალანსო ღირებულებას, რომელთა გამოყენების ვადა განისაზღვრა 8 წლით. არამაკონტროლებელი წილის რეალური ღირებულება შეძენის თარიღისათვის შეფასდა 600 ათას ლარად.

გამოვთვალოთ არამაკონტროლებელი წილი რეალური ღირებულებით და პროპორციული წილის მეთოდებით. პირველ რიგში გამოვთვალოთ შეძენილი აქტივებში ღირებულებები შეძენის მომენტისათვის და წლის ბოლო ორივე მეთოდით.

შეძენილი წმინდა აქტივები (ათასი ლარი)

მაჩვენებლები	შესყიდვის მომენტისათვის	წლის ბოლოს
ჩვეულებრივი აქციები	800	800
საემისიო კაპიტალი	1,200	1,200
გაუნაწილებელი მოგება	3,400	4,000
შენობის აფასება	40	40
შენობის წლიური ცვეთა (40/8წ.)	-	(5)
წმინდა აქტივების რეალური ღირებულება	5,440	6,035

გუდვილი გაანგარიშება ხდება აქტივების რეალური ღირებულებით.

გუდვილის მიეკუთვნება მშობელი საწარმოსა და არამაკონტროლებელ წილზე - შეფასება რეალური ღირებულებით შეძენის დროს (ათასი ლარი)

ინვესტიციის თვითღირებულება	5,500	
შეძენილი წმინდა აქტივები (5,440*90%)	(4,896)	
მშობელი საწარმოს გუდვილი		604
არამაკონტროლებელი წილის რეალური ღირებულება	600	

არამაკონტროლებელი წილის % წმინდა აქტივებში (5,440*10%)	(544)	
არამაკონტროლებელი წილის გუდვილი		56
მთლიანი გუდვილი		660

არამაკონტროლებელი წილის შეფასება საანგარიშგებო თარიღისათვის რეალური ღირებულებით (გუდვილით) (ათასი ლარი)

არამაკონტროლებელი წილის გუდვილი	56
არამაკონტროლებელი წილის წმინდა აქტივები წლის ბოლოს (6,035*10%)	603,5
	659,5

არამაკონტროლებელი წილის შეფასება საანგარიშგებო თარიღისათვის პროპორციული წილით (ათასი ლარი)

არამაკონტროლებელი წილის წმინდა აქტივები წლის ბოლოს (6,035*10%)	603,5
---	-------

მაგალითიდან გამომდინარე გუდვილი და არამაკონტროლებელი წილი ერთნაირად უნდა შეფასდეს ან რეალური ღირებულებით/სრული ან პროპორციულობის გუდვილით. როგორც წესი საწარმოები თავად ირჩევენ გუდვილისა და არამაკონტროლებელი წილის შეფასების მეთოდებს.

გუდვილის აღრიცხვის დროს არსებობს გარკვეული წესები საწარმოთა კონსოლიდაციის დროს, რომელთა დაცვაც აუცილებელია, ესენია:

1. გუდვილის გაანგარიშება ხდება იმ თანხის სხვაობით, რომელიც მიიღება შვილობილი საწარმოს წმინდა აქტივების შესაძენად გადახდილ თანხასა და ამავე წმინდა აქტივების რეალურ ღირებულებას შორის.
2. გუდვილის ამორტიზება არ ხდება, ამას როგორც წესი ყოველწლიურად უნდა ჩაუტარდეს ტესტი გაუფასურებაზე
3. კონსოლიდირებული მოგება-ზარალის აწყობისას ბალანსის საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში არამაკონტროლებელი წილი ცალკე მუხლის სახით აისახება, რათა მოხდეს

იმ აქტივების იდენტიფიცირება, რომელსაც მშობელი საწარმო აკონტროლებს, მაგარ მას არ ეკუთვნის.

კონსოლიდაციის მეთოდები

არსებობს კონსოლიდაციის სამი მეთოდი: სრული კონსოლიდაცია, პროპორციული კონსოლიდაცია და კაპიტალ-მეთოდი. მშობელი და შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაცია ხდება სრული კონსოლიდაციის მეთოდით. ამ მეთოდის გამოყენების შემთხვევაში გაერთიანებას ექვემდებარება შვილობილი საწარმოს ყველა აქტივი და ვალდებულება, ხოლო არამაკონტროლებელი წილის ასახვა კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ხდება კაპიტალის ნაწილში, განცალკევებულად. სრული კონსოლიდაციის გამოყენების აზრი მდგომარეობს იმაში, რომ საწარმოთა გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი ჯგუფი წარმოადგენს ერთ მთლიან ეკონომიკურ ერთეულს. ყოველივე ამის შედეგად კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში:

ერთადაა თავმოყრილი და გაერთიანებულია მშობელი საწარმოსა და მისი შვილობილი საწარმოების აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალისა, შემოსავლების, ხარჯებისა და ფულადი ნაკადების ანალოგიური მუხლები

ელიმინირებულია მშობელი საწარმოს მიერ თითოეულ შვილობილ საწარმოში ფლობილი ინვესტიციების საბალანსო ღირებულება და მშობელი საწარმოს კუთვნილი ნაწილი თითოეული შვილობილი საწარმოს საკუთარ კაპიტალში - ხდება ინვესტიციის მუხლის ელიმინირება.

ასევე მთლიანად ხდება ელიმინირება შიდაჯგუფური ოპერაციებისა, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფში შემავალ საწარმოთა შორის განხორციელებულ ოპერაციებთან და ეხება აქტივებს და ვალდებულებებს, საკუთარ კაპიტალს, შემოსავლებს, ხარჯებსა და სხვა ფულად ნაკადებს. ასეთ დროს მთლიანად არის ელიმინირებული შიდაჯგუფურ ოპერაციებთან დაკავშირებული მოგება, ანა ზარალი, რომელიც ასახულია ისეთი აქტივების საბალანსო ღირებულებაში, როგორცაა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები და გრძელვადიანი აქტივები. შიდაჯგუფური ზარალი შეიძლება გაუფასურების მაჩვენებელი იყოს და აუცილებლად უნდა აღიარდეს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

1.3. კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

საცდელი ბალანსის მომზადების შემდეგ, მზადდება ფინანსური ანგარიშგება, კერძოდ ანგარიშგება მოგებისა და ზარალის შესახებ; ანგარიშგება კაპიტალის მოძრაობის შესახებ და ბალანსი. მოგება-ზარალის ანგარიშგება განსაზღვრავს წმინდა მოგებას/ზარალს. წმინდა მოგება მოგება-ზარალის ანგარიშგებიდან გადადის კაპიტალის მოძრაობის შესახებ არსებულ ანგარიშგებაში. რაც შეეხება კაპიტალს, მისი სალდო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის, ასახულია როგორც ანგარიშგებაში კაპიტალის მოძრაობის შესახებ, ასევე ბალანსში. ამდენად მოგება-ზარალის უწყისში ასახულია შემოსავლები და ხარჯები, ასევე - მოგება ან ზარალი, რომელიც კომპანიამ მიიღო კონკრეტული პერიოდის განმავლობაში. იგი კომპანიის მენეჯმენტს საშუალებას აძლევს სრულფასოვნად შეაფასონ მათ ხელთ არსებული რესურსები, წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლები და ხარჯები, განსაზღვრონ თუ როგორ წარმართონ და ჩამოაყალიბონ მომავალი წლის სამოქმედო გეგმა და როგორ განავითარონ კომპანია.

კომპანიების კონსოლიდაციისას აუცილებელია განისაზღვროს მშობელი და შვილობილი საწარმოების გაერთიანებული რესურსები, რათა გატარდეს სწორი მენეჯმენტი. ამაში გვხვდებით კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგებები. თუმცა მათი მომზადება გარკვეულ წესებსა და პრინციპებს ეფუძნება.

კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგებები გვიჩვენებს მოგებას, რომელიც მიღებულია შესაბამის კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ყველა რესურსიდან. კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგების მომზადება ეყრდნობა გარკვეულ პრინციპებს:

- შვილობილი საწარმოს კონტროლის ასახვას, რომელიც მოიცავს ამონაგების მუხლიდან დაბეგვრის შემდგომ მუხლამდე მშობელი საწარმოს ყველანაირ ხარჯსა და შემოსავალს და შვილობილი საწარმოს შემოსავლებსა და ხარჯებს.
- საკუთრების ასახვას, რაც ნიშნავს იმას, რომ დაბეგვრის შემდგომი მოგების შემდეგ გამოკლებულია არამაკონტროლებელ წილზე მისაკუთვნიებული მოგების ნაწილი.

კონსოლიდაციის მექანიზმები

იმისათვის რომ სწორად მოვამზადოთ კონსოლიდირებული ანგარიშგება, აუცილებელია გარკვეული გაანგარიშებების ჩატარება:

- ჯგუფის სტრუქტურის დიაგრამა

- შვილობილი საწარმოს წმინდა აქტივები შეძენისას (თუ მოითხოვება გუდვილის გამოთვლა)
- გუდვილის გამოთვლა
- არამაკონტროლებელი წილის განსაზღვრა

არამაკონტროლებელი წილის გამოთვლა შემდეგნაირად ხდება:

ამწ% x შვილობილი საწარმოს დაბეგვრის შემდგომი მოგება
გამოკლებული:
ამწ% x დამატებითი ცვეთა (რეალური ღირებულების კორექტირება)
ამწ% x არარეალიზებული მოგება (თუ გამყიდველი შვილობილია)
ამწ% x გუდვილის გაუფასურება (რეალური ღირებულების
მეთოდის გამოყენების შემთხვევაში)
შვილობილი საწარმოს კორექტირებული მოგება
არამაკონტროლებელი წილი

კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადებისას უნდა გავითვალისწინოთ ზოგიერთი ფაქტორი, კერძოდ: შიდაჯგუფური ვაჭრობის შედეგების გავლენა, გუდვილის გაუფასურება, დივიდენდების გაცემა, საანგარიშგებო წლის მანძილზე განხორციელებული შექმნები და სხვა.

შიდაჯგუფური ვაჭრობა, რეალიზაცია და შესყიდვა

შიდაჯგუფური ვაჭრობის შედეგი უნდა გამოირიცხოს კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგებიდან. შიდაჯგუფური ვაჭრობა აისახება ჯგუფის ერთი საწარმოს რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებში და მეორე საწარმოს შესყიდვაში.

- კონსოლიდირებული ამონაგები = მშობელი საწარმოს ამონაგები + შვილობილი საწარმოს ამონაგები - შიდა ჯგუფური რეალიზაცია
- კონსოლიდირებული რეალიზებული საქონლის თვითღირებულება = მშობელი საწარმოს რეალიზებული საქონლის თვითღირებულება + შვილობილი საწარმოს რეალიზებული საქონლის თვითღირებულება - შიდა ჯგუფური რეალიზაცია.

პროცენტი

იმ შემთხვევაში როდესაც არსებობს ჯგუფის წევრ საწარმოებს შორის გადავადებული სესხი, მაშინ ერთი მხარე გადაიხდის შიდა ჯგუფური სესხის პროცენტს და მეორე მიიღებს. როგორც წესი კონსოლიდაციის შედეგებიდან უნდა გამოვრიცხოთ სესხიც და სესხის პროცენტიც და პროცენტის შესაბამისი თანხა უნდა გამოიქვითოს ჯგუფის საინვესტიციო შემოსავლიდან და ჯგუფის ფინანსური დანახარჯებიდან. ასევე გასათვალისწინებელია ის შემთხვევაც, როდესაც შვილობილი საწარმო შექმნილია საანგარიშგებო წლის განმავლობაში. ასეთ დროს ფინანსური დანახარჯების კორექტირებისას უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი რომ ფინანსური დანახარჯი შეიძლება მოიცავდეს მშობელი საწარმოსაგან მიღებული სესხის პროცენტსაც, რომელიც წარმოიშვა საანგარიშგებო წლის მეორე ნახევარში.

მაგალითად თუ შვილობილი საწარმოს ფინანსური დანახარჯი 400,000 ლარია და მშობელი საწარმო მას მხოლოდ საანგარიშგებო წლის ბოლო ექვსი თვე ფლობს, კონსოლიდირებული ფინანსური დანახარჯი იქნება 400,000 ლარის ნახევარი, ანუ 200,000. თუმცა თუ მშობელმა საწარმომ ამავდროულად 2 მილიონის ოდენობის 10%-იანი სესხი მისცა შვილობილ საწარმოს, წლის მეორე ნახევარში წარმოიქმნება 100,000-ის საპროცენტო ხარჯი, რომელიც წლის პირველ ნახევარში არ იყო გაწეული.

შედეგად საპროცენტო ხარჯი, შიდა ჯგუფური პროცენტის გარეშე, იქნება 300,000 ლარი, ხოლო ამ თანხის ექვსი თვის ხარჯი - 150,000 ლარი და სწორედ ამ თანხის ასახვა მოხდება ფინანსური დანახარჯის კონსოლიდირებულ მოგებასა და ზარალის ანგარიშგებაში. (2; 256)

დივიდენდები

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგების მომზადებისას უნდა გამოირიცხოს შვილობილი საწარმოების მიერ მშობელი საწარმოებისათვის დივიდენდის გადახდა. მას გარკვეული გავლენის მოხდენა შეუძლია კონსოლიდირებული მოგება ზარალის ანგარიშგებაზე. კერძოდ: კონსოლიდირებული მოგება ზარალის ანგარიშგებაში აისახება მხოლოდ მშობელი საწარმოს მიერ თავისი აქციონერებისათვის გადახდილი დივიდენდები, რომლის ასახვაც მოხდება საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში. ასევე ისეთი სახის დივიდენდური შემოსავლები, რომლებიც კონსოლიდირებული მოგება ზარალის ანგარიშგებაში აისახება არ უნდა იყოს წარმოშობილი შვილობილ საწარმოში ჩადებული ინვესტიციიდან.

განვიხილოთ მაგალითი და მოვამზადოთ კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება კონკრეტული კომპანიების მაგალითზე. კომპანია A-მ რამდენიმე წლის წინ შეიძინა

კომპანია B-ს სააქციო კაპიტალის 75%. ასევე მოცემული გვაქვს 2019 წლის 31 დეკემბრის მოგება ზარალის ანგარიშგებები. (ლარი)

დასახელება	კომპანია A	კომპანია B
ამონაგები რეალიზაციიდან	2,400	800
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება და ხარჯები	(2,160)	720
სავაჭრო მოგება	240	80
საინვესტიციო შემოსავალი:		
კომპანია B-იდან მიღებული დივიდენდი	1,5	
მოგება დაბეგვრამდე	241.5	80
გადასახადი	(115)	(38)
მოცემული წლის მოგება	126.5	42

მოვამზადოთ მოცემული წლის კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

ამონაგები რეალიზაციიდან (2,400 + 800)	3,200
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება და ხარჯები (2,160+720)	(2,880)
ჯგუფის მოგება დაბეგვრამდე	320
გადასახადი	(153)
მოცემული წლის მოგება	176
მისაკუთვნიებული:	
ჯგუფზე	156.5
არამაკონტროლებელ წილზე (25% x \$42,000 = \$10,500)	10.5

გრძელვადიანი აქტივების გადაცემა

საწარმოთა გაერთიანების შემდეგ, ჯგუფში შემავალი ერთ-ერთი საწარმო მეორეს თუ მიჰყიდის გრძელვადიან აქტივს, მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში აუცილებელია გარკვეული კორექტირებების გატარება.

- ამ გადაცემიდან წარმოქმნილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი უნდა გამოიქვითოს მოგება ზარალის ანგარიშგებიდან
- ასევე ამ გრძელვადიან აქტივებზე დარიცხული ცვეთა უნდა დაკორექტირდეს ისე რომ იგი ეყრდნობოდეს აქტივის თვითღირებულებას ჯგუფთან მიმართებაში

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ საანგარიშგებო წლის განმავლობაში შეიძლება მოხდეს არაერთი ოპერაცია ჯგუფთაშორის საწარმოებს შორის, ერთ-ერთი შეიძლება იყოს საწარმოებს შორის გრძელვადიანი აქტივების გაყიდვა. გრძელვადიანი აქტივის გაყიდვისას ყველაზე მნიშვნელოვანია ის ფაქტორი თუ როგორი ფასი აქვს გასაყიდად გამიზნულ გრძელვადიან აქტივს. თუ ამ აქტივის გასაყიდი ფასი ისეთივეა როგორც მისი საბალანსო ღირებულება გამყიდველი კომპანიის ბუღალტრულ ჩანაწერებში, მაშინ არავითარი კორექტირების ჩატარება აღარ არის აუცილებელი, რადგან მყიდველი ამ აქტივს ასახავს და ცვეთას დაარიცხავს აქტივის თავდაპირველი ღირებულების მიხედვით და ჯგუფის პოზიციიდან გამომდინარე არაფერი შეიცვლება.

განვიხილოთ მეორე ვარიანტი, როდესაც გამყიდველი გაყიდვიდან იღებს მოგებას. ასეთ შემთხვევაში მყიდველი ამ აქტივს იმაზე უფრო დიდი ღირებულებით ასახავს, ვიდრე მისი ამორტიზებული ღირებულება არის ჯგუფის პოზიციიდან (როგორც ერთი სამეურნეო ერთეულის). შედეგად გამყიდველის მიერ მიღებული მოგება თანდათანობით რეალიზდება აქტივის სასარგებლო მომსახურების დარჩენილი ვადის განმავლობაში, მყიდველი მიერ ცვეთის დარიცხვით, რაც გამოითვლება ისეთი ღირებულების საფუძველზე, რომელიც მეტია მის თავდაპირველ თვითღირებულებაზე ჯგუფის პოზიციიდან. ამდენად პერიოდის ბოლოს როდესაც მყიდველი შექმნილ აქტივს მთლიანად დაარიცხავს ცვეთას, რეალიზდება გამყიდველის მთლიანი მოგება და არავითარი კორექტირება არ იქნება საჭირო. თუმცა, ვიანიდან მყიდველი ჯერ ისე არიცხავს ცვეთას შექმნილ აქტივს, გამყიდველის არარეალიზებული მოგების თანხა უნდა გამოირიცხოს შემოსავლებიდანაც და აქტივის საბალანსო ღირებულებიდანაც. ასეთ დროს აუცილებელია ისეთი კორექტირებების გატარება, რომლებიც შექმნიან ისეთ სიტუაციის, თითქოს გაყიდვას არც ქონია ადგილი, კერძოდ:

- კონსოლიდაციიდან გამოირიცხება ნებისმიერი ნარჩენი არარეალიზებული მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიქმნება გრძელვადიანი აქტივის გადაცემიდან
- აქტივის დაგროვილი ცვეთა და თვითღირებულება უნდა დაკორექტირდეს იმდაგვარად, რომ დაეყრდნოს აქტივის თვითღირებულებას ჯგუფთან მიმართებით.

კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგების სხვა კორექტირებები გუდვილის გაუფასურება

გასათვალისწინებელი ის ფაქტიც, რომ როდესაც ხდება გუდვილი გაუფასურება წლის განმავლობაში, მოცემულ წელს ეს თანხა უნდა აისახოს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, ჩვეულებრივ, საოპერაციო ხარჯების განყოფილებაში. ასევე თუ არამაკონტროლებელი წილი რეალური ღირებულებითაა შეფასებული, გაუფასურების ზარალის შესაბამისი წილი უნდა გამოაკლდეს არამაკონტროლებელ წილზე მიკუთვნებულ მოგებას.

რეალური ღირებულება

თუ შვილობილი საწარმოს ცვეთადი გრძელვადიანი აქტივი გადაფასდა გუდვილის გამოთვლისას, როგორც რეალური ღირებულების განსაზღვრის ნაწილი, ეს გამოიწვევს კორექტირებას კონსოლიდირებულ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში. ინდივიდუალური და კონსოლიდირებული ანგარიშგებების მომზადებისას შვილობილი საწარმოს საკუთარ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ცვეთა ასახული იქნება იმ ღირებულების საფუძველზე, რომელიც აქტივს აქვს შვილობილი საწარმოს საკუთარ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

კონსოლიდირებულ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში კი ცვეთა დარიცხული უნდა იყოს აქტივის რეალური ღირებულების მიხედვით, რომელიც ასახულია კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

წლის მანძილზე განხორციელებული შეძენები

როდესაც შვილობილი საწარმოს შეძენა ხდება წლის განმავლობაში, შვილობილი საწარმოს შედეგების კონსოლიდაცია უნდა მოხდეს შეძენის თარიღიდან. ეს ის მომენტია, როდესაც მშობელმა საწარმომ თავის თავზე აიღო კონტროლი.

კონსოლიდაციისათვის აუცილებელია გარკვეული ღონისძიებების გატარება ასეთი შემთხვევების დროს.

- უნდა დადგინდეს შვილობილი საწარმოს წმინდა აქტივების ღირებულება, გუდვილის გამოსათვლელად:
- ამონაგებისა და ხარჯების დარიცხვა უნდა მოხდეს თანაბრად, რაც გულისხმობს რომ შეძენის წელს მიღებული შვილობილი საწარმოს შედეგები უნდა მივაკუთვნოთ პროპორციულად
- ბოლოს კი უნდა გამოიქვითოს შეძენის შემდგომი შიდა ჯგუფური მუხლები.

განვიხლოთ მაგალითი წლის მანძილზე განხორციელებული შეძენა

მოცემული გვაქვს მოგებისა და ზარალის ანგარიშგება 2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით (ლარი)

დასახელება	კომპანია A	კომპანია B
ამონაგები რეალიზაციიდან	303,600	217,700
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(143,800)	(103,200)
საერთო მოგება	159,800	115,500
საოპერაციო დანახარჯები	(71,200)	(51,300)
საოპერაციო მოგება	88,600	64,200
საინვესტიციო შემოსავალი	2,800	1,200
მოგება დაბეგვრამდე	91,400	65,400
დაბეგვრა	(46,200)	(32,600)
მოგება დაბეგვრის შემდეგ	45,200	32,800

მოცემულობა: 2018 წლის 30 ნოემბერს კომპანია A-მ შეიძინა კომპანია B-ეს ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალის 75%. წლის განმავლობაში არცერთმა კომპანიამ დივიდენდი არ გადაიხადა. საინვესტიციო შემოსავალია კვოტირებული ინვესტიციებიდან მიღებული ან მისაღები შემოსავალი, რომელიც სწორად არის აღრიცხული, რაც იმას ნიშნავს, რომ წლის მანძილზე ორივე კომპანიის მოგება დაირიცხება თანაბრად. (9; 287) აღნიშნული მოცემულობის საფუძველზე

მოვამზადოთ კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება 2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით. (ლარი)

ამონაგები რეალიზაციიდან $(303,600 + (217,700 \times 4/12))$	376,167
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება $(143,800 + (102,200 \times 4/12))$	(177,867)
საერთო მოგება	198,300
საოპერაციო დანახარჯები $(71,200 + (51,300 \times 4/12))$	(88,300)
საოპერაციო მოგება	110,000
საინვესტიციო შემოსავალი $(46,200 + (32,600 \times 4/12))$	3,200
მოგება ჩვეულებრივი საქმიანობიდან, დაბეგვრამდე	113,200
მოგების გადასახადის ხარჯი $(46,200 + (31,800 \times 4/12))$	(57,067)
მოგება ჩვეულებრივი საქმიანობიდან დაბეგვრის შემდეგ	56,133

მისაკუთვნიებული თანხა:

მშობელი საწარმოს საკუთარი კაპიტალის მფლობელობაზე	53,400
არამაკონტროლებელი წილზე (25% x (32,800 x 4/12))	2,733

ამდენად 2018 წლის 30 ნოემბერი არის ის თარიღი როდესაც კომპანია ამ შეიძინა კომპანია ბ-ს ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალის 75% და მართვის კონტროლი აიღო. ასევე 30 ნოემბერი არის ის თარიღი, რომლის შემდეგაც კომპანია ბ-ს შედეგები უნდა აისახოს კონსოლიდირებულ მოგებასა და ზარალის ანგარიშგებაში. ამ თარიღის შემდეგ კომპანია ბ-ს მიერ შექმნილი ყველანაირი რეზერვი არის შექმნის შემდგომი რეზერვი.

თავი 2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ მაგალითზე

2.1 მეღვინეობა და ღვინის ბიზნესი საქართველოში

როგორც ვიცით საქართველოს ღვინის სამშობლოდ ითვლება, ჩვენს ქვეყანაში აღმოჩენილია არაერთი უძველესი ღვინის ნაშთები, რომლებიც ხაზს უსვამენ და იმაზე მიანიშნებენ, რომ საქართველოში ოდითგანვე განვითარებული იყო ღვინის დაყენების კულტურა. ღვინის ბიზნესი საქართველოში სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება, დღესდღეობით ქართული ღვინის ბაზარზე წარმოდგენილია არაერთი ღვინის მწარმოებელი კომპანია, რომლებიც აწარმოებენ სხვადასხვა სახეობის ალკოჰოლურს სასმელებს. აღნიშნული პროდუქციით მარაგდება როგორც ადგილობრივი ბაზარი, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებიც. რაც მიანიშნებს იმაზე, რომ ქართულ ღვინოს მსოფლიოს ღვინის ბაზარზე საკმაოდ მყარი პოზიცია უკავია და ერთგვარ ბრენდად არის ჩამოყალიბებული.

ქართული ღვინის მსოფლიოსათვის გაცნობა არაერთი კომპანიის მიზანს წარმოადგენს, მათ შორისაა ნაშრომში განხილული, ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ღვინის კომპანია „კახური ტრადიციული მეღვინეობა“, რომელსაც არაერთ ქვეყანაში გააქვს უკვე საკუთარი წარმოების პროდუქცია. სხვადასხვა ორგანიზაციების შეფასებით საქართველოში ღვინის ბაზარი ყოველწლიურად იზრდება და ვითარდება, რადგან ქვეყანას აქვს მარალი პოტენციური განავითაროს ღვინის ბაზარი და აწარმოოს მარალი ხარისხის ღვინო. სხვადასხვა მონაცემებზე დაყრდნობით 2019 წელს 324 კომპანიამ გადაამუშავა 367 ათასი ტონა ყურძენი, რეალიზებული ყურძნის ღირებულებამ კი 451 მილიონი ლარი შეადგინა.

„კახური ტრადიციული მეღვინეობა“ - ეს არი ერთ-ერთი ლიდერი კომპანია ქართული ღვინის ბაზარზე, რომელიც აწარმოებს ღვინისა და მაღალ ალკოჰოლიანი სასმელების ფართო ასორტიმენტს. კომპანია დაარსდა 2001 წელს და წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, და დღეისათვის ფლობს არაერთ საწარმოს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, კერძოდ: პატარძელი, ველისციხე, ქედა და საგურამოს ტერიტორიაზე, სადაც ხდება სხვადასხვა სახეობის ღვინის, ჭაჭის, ქართული ბრენდისა და ცქრიალა ღვინის მრავალფეროვანი ასორტიმენტის წარმოება.

დაარსების დღიდან „კახური ტრადიციული მეღვინეობა“ ჩართულია ეთნო ტურიზმის განვითარებაში. კომპანია ხელს უწყობს და ორგანიზებას უწევს არაერთი ღონისძიების გამართვას, რომელიც დაკავშირებულია საქართველოსა და ქართული მეღვინეობის შესახებ, რაც

შეიძლება მეტმა უცხოელმა ტურისტმა რომ გაიგოს. აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში 2011 წელს კახეთში, ველისციხეში განახლდა და რესტავრაცია ჩაუტარდა საგვარეულო ღვინის მარანს - „ველისციხის ვერანდა“-ს, ასევე დაემატა ჩვენს ისტორიულ დედაქალაქ მცხეთაში რესტორანი და მარანი „ქართლი ღვინის პალატა“. 2013 წელს კომპანიამ დაიწყო საერთაშორისო სტანდარტების მქონე ქარხნის მშენებლობა სოფელ პატარძელში, აღნიშნული ქარხანა სერტიფიცირებულია სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტებით ISO-2200-ით. 2015 წელს ქართულმა კომპანიამ საგურამოში აღადგინა თადეოზ გურამიშვილისა და ილია ჭავჭავაძისეული ისტორიული მარნები. 2017 წელს საფუძველი ჩაეყარა გურჯაანის სოფელ ახაშენში სასტუმრო მშენებლობას, რომელსაც გარშემო ამშვენებს საფერავის ყურძნის ვენახები და ხედი კავკასიონის მყინვარზე. მომავალში კომპანიას გადაწყვეტილი აქვს ააშენოს ამავე ტერიტორიაზე გამაჯანსაღებელი სპა ცენტრი, რომელიც მოემსახურება როგორც ადგილობრივ დამსვენებლებს, ასევე უცხოელ ტურისტებსაც. „უძველესი ტრადიციებისა და თანამედროვე უახლესი ტექნოლოგიების შერწყმით „კახური ტრადიციული მეღვინეობა“ უმაღლესი ხარისხის პროდუქტსა და მომსახურებას სთავაზობს მომხმარებელს“. შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა“ ორიენტირებულია მეღვინეობის დარგისა და ღვინის გზის განვითარებაზე საქართველოში.

შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა“ წარმოადგენს მშობელ კომპანიას და საანგარიშგებო წელს კონსოლიდირებულია შემდეგ კომპანიების ფინანსური ანგარიშგება:

დასახელება	საქმიანობის ქვეყანა	31.12.2018	01.01.2018	საოპერაციო საქმიანობა
შპს კახური ტრადიციული მეღვინეობა-აგრო-ქედა	საქართველო	100%	100%	ხილის კონსერვების წარმოება
შპს კახური ტრადიციული მეღვინეობა-აგრო-ჩოხატაური	საქართველო	100%	100%	ხილის კონსერვების წარმოება
შპს ქედის ღვინის ქარხანა	საქართველო	100%	100%	ღვინის და სპირტიანი სასმელების წარმოება
შპს როიალ ასკანა	საქართველო	100%	100%	მშენებარე სასტუმრო
შპს გურია პალასი	საქართველო	100%	100%	მშენებარე სასტუმრო
შპს კატევე ტურს	საქართველო	100%	100%	უმოქმედო
შპს კატევე ხობი	საქართველო	100%	100%	სოფლის მეურნეობა
შპს კატევე დეველოპმენტი	საქართველო	100%	100%	მშენებარე სასტუმრო
შპს გურჯაანი აგრო	საქართველო	100%	-	სოფლის მეურნეობა
შპს შატო მანავი	საქართველო	100%	-	სოფლის მეურნეობა

2.2 შპს კახური ტრადიციული მეღვინეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

შპს ‘კახური ტრადიციულ მეღვინეობასა‘ და ერთ-ერთ აუდიტორულ კომპანიას შორის დაიღო ხელშეკრულება, რომელიც მოიცავდა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცედურებს. აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად.

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის კომპანიის კონსოლიდირებული მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება (ლარში)

	2018	2017
შემოსავალი	84,523,905	67,659,736
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(46,307,617)	(34,366,731)
საერთო მოგება	38,216,288	33,293,005
გაყიდვების და მიწოდების ხარჯები	(4,722,116)	(3,875,489)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(6,499,082)	(5,779,396)
წმინდა სხვა შემოსავალი	2,301,244	2,428,979
საოპერაციო მოგება	29,296,334	26,067,099
წმინდა ზარალი რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებიდან	(969,684)	-
ფინანსური ხარჯები	(3,198,348)	(2,066,824)
ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან	(881,422)	(182,090)
მოგება დაბეგვრამდე	24,246,880	23,818,185
მოგების გადასახადის ხარჯი	(350,332)	(539,617)
წმინდა მოგება	23,896,548	23,278,568
სხვა სრული შემოსავალი	-	-
სრული შემოსავალი	23,896,548	23,278,568

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ლარში)

	31.12.2018	01.01.2018
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	78,160,320	56,276,932
ბიოლოგიური აქტივები	3,962,587	2,595,479
არამატერიალური აქტივები	256,284	176,454
სულ გრძელვადიანი აქტივები	82,379,191	59,048,865
მიმდინარე აქტივები		
მარაგები	55,895,919	41,808,668
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	22,026,128	22,471,809
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები ცვლილების მოგენა ან ზარალში აღრიცხვით	234,780	
ფული და ფულის ეკვივალენტები	4,038,890	1,444,407
სულ მიმდინარე აქტივები	82,195,717	65,724,884
სულ აქტივები	164,574,908	124,773,749
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		
საკუთარი კაპიტალი		
კაპიტალი	408,374	2,000
გაუნაწილებელი მოგება	99,641,689	79,148,302
სულ საკუთარი კაპიტალი	100,050,063	79,150,302
გრძელვადიანი ვალდებულებები		
სესხები	30,737,246	328,342
გადავადებული შემოსავალი	1,254,786	769,069
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	31,992,032	1,097,411
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8,256,540	4,335,180
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები	1,113,824	-
სესხები	23,162,449	40,190,856
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	32,532,813	44,526,036
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	164,574,908	124,773,749

როგორც ნაშრომის თეორიულ ნაწილში განვიხილეთ, კონსოლიდირებული ანგარიშგების მიზანია, მოგვაწოდოს ინფორმაცია კომპანიისა და მის კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიების ფინანსური ინფორმაცია. იმისათვის, რომ კონტროლის მიღწევა იყოს შესაძლებელი, აუცილებელია რომ მშობელი კომპანიას ქონდეს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე, შეეძლოს მიიღოს ცვლადი უკუგება ინვესტიციის ობიექტში მისი მონაწილეობიდან და შეძლოს თავისი გავლენის გამოყენება ინვესტიციის უკუგებაზე ზემოქმედებისათვის. იმისათვის რომ

შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან, აუცილებელია რომ საჭიროების შემთხვევაში დაკორექტირდეს შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები. კონსოლიდაციის პროცესში ნებისმიერი შიდაჯგუფურ გარიგებებთან დაკავშირებული ვალდებულებები, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადები გაიქვითება.

შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა“ ფუნქციონალურ ვალუტად ანგარიშსწორებისას იყენებს ქართულ ლარს. ამდენად ჩვენს მაგალითში განხილული კონსოლიდირებული ანგარიშგების შეფასება ხდება ეროვნულ ვალუტაში. თუმცა საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას უფიქსირდება ანგარიშსწორება უცხოურ ვალუტაშიც, რომელთა აღრიცხვაც ხდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. ასეთი ოპერაციების დროს შექმნილი აქტივები და ვალდებულებები გადაანგარიშდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლითი კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთა შორის სხვაობის ასახვა ხდება კონსოლიდირებულ მოგება ზარალის ანგარიშგებაში. 2018 წლის 31 დეკემბერსა და 1 იანვარს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოიყენება შემდეგი გაცვლითი კურსები:

პერიოდი	აშშ დოლარი	ევრო
2018 წლის 31 დეკემბერი	2.6766	3.0701
2018 წლის 1 იანვარი	2.5922	3.1044

ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ბალანსზე რიცხული ფული და ფულის ეკვივალენტები 2018 წლის 1 იანვრისა და 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგნაირი:

დასახელება	01.01.2018	12.31.2018
ფული ბანკში	1,396,494	2,119,620
შეზღუდული ფული	-	1,873,931
ფული სალაროში	47,913	45,339
სულ	1,444,407	4,038,890

შეზღუდული ფული (დეპოზიტი) წარმოადგენს ფასთაშორის სხვაობის კონტრაქტის უზრუნველსაყოფად ბროკერის ანგარიშზე განთავსებულ ფულს.

იმისათვის, რომ გავიგოთ კონსოლიდაციის შედეგები 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით, განვიხილოთ ამავე წლის არაკონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და შევადაროთ ფული და ფული ეკვივალენტები.

დასახელება	01.01.2018	12.31.2018
ფული ბანკში	1,363,038	2,002,574
შეზღუდული ფული	-	1,873,931
ფული სალაროში	47,913	45,339
სულ	1,410,951	3,921,844

ცხრილებიდან კარგად ჩანს, თუ როგორ მოხდა ჯგუფთაშორისი წევრების ფულადი საშუალებების გაერთიანება და როგორ შეიცვალა საბოლოო ფულის და ფულის ეკვივალენტების ოდენობა 2018 წლის ბოლოსათვის.

ძირითადი საშუალებები

კომპანიაში ძირითადი საშუალებების აღიარება ხდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ მასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რათა შესაბამისი ძირითადი საშუალება მოყვანილ იქნეს სამუშაო მდგომარეობაში და ექსპლუატაციისათვის იყოს მზად. რაც შეეხება შემდგომ დანახარჯებს, ისინი ჩაირთვება აქტივების საბალანსო ღირებულებაში ან მათი აღიარება ხდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივის, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შესაძლებელი იქნება, რომ მოცემული დანახარჯიდან მივიღოთ ეკონომიკური სარგებელი და მისი ღირებულება განისაზღვროს საიმედოდ. ნებისმიერი სხვა ხარჯის აღიარება, კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად ხდება, როგორც პერიოდის ხარჯად, რომელიც გაიწია კონკრეტული ძირითადი საშუალებისა თუ აქტივის რემონტზე. ძირითადი საშუალებების აღრიცხვა ხდება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთისა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთის დარიცხვა კონკრეტულ აქტივების ჯგუფზე ხდება მთლიანად, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ მოხდა ძირითადი საშუალების ერთეულის გადაფასება, ასეთ დროს აუცილებელია რომ გადაფასდეს ძირითადი საშუალებების ის მთლიანი ჯგუფი, რომელსაც კონკრეტულად მოცემული ძირითადი საშუალება მიეკუთვნება. თუ ძირითადი საშუალების გადაფასების შედეგად გაიზარდა მისი ღირებულება, მისი ზრდა აისახება სხვა შემოსავალში წარმოდგენილი გადაფასების ზედმეტობის სახით. გადაფასების კლება ძირითად საშუალებებზე მოგებაში ან ზარალში აღიარდება.

კომპანიის ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები გადანაწილებული აქვს შემდეგნაირად:

დასახელება	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	15-25
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	30
ოფისის დანადგარები, აღჭურვილობა და ავეჯი	5
დანადგარები	5-25
ავტოტრანსპორტი	7-10
სხვა	7-10

ძირითადი საშუალებების ჯგუფში შემავალ თითოეულ აქტივს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის ვადები და პირობები, რაც დამოკიდებულია მათ ღირებულებებზე. შესაბამისად განსხვავებული ექსპლუატაციის პირობების მქონე ძირითადი საშუალებების აღრიცხვა ხდება ინდივიდუალურად. კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე, როგორც კი ძირითადი საშუალების გასხვისება მოხდება, ან ეკონომიკური სარგებლის მოტანა აღარ შეუძლია, მაშინვე წყდება მისი აღიარებაც საკუთარ ბალანსზე. რაც შეეხება მოგება/ზარალის განსაზღვრას, მისი გაანგარიშება ხდება, აქტივის გასვლისას მის საბალანსო ღირებულებასა და მიღებულ წმინდა ანაზღაურებას შორის სხვაობის თანხით. საბოლოოდ კი მოცემული თანხის ასახვა ხდება მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწასა და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. დაუსრულებელი აქტივების შეფასება ხდება მათი თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ასეთი აქტივების თვითღირებულება მოიცავს მალეების დანახარჯებს, ასევე პირდაპირ დახარჯულ შრომის ღირებულებასა და ყველა იმ დანახარჯს, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული ამ აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, იქნება ეს სხვადასხვა სახის ძირითადი საშუალების მონტაჟი, ტერიტორიიდან გატანი ხარჯები და აგრეთვე კაპიტალიზებული სესხის ხარჯები.

ძირითადი საშუალებები 2018 წლის 1 იანვრისა და 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირადაა წარმოდგენილი კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში: (ლარი)

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა-ნაგებობები	აღჭურვილობა და ავეჯი	დანადგარები	მშენებარე აქტივები	ავტორტანსპორტი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სხვა	სულ
01.01.2017	2,284,712	13,624,276	1,284,313	17,799,504	2,354,934	1,257,545	1,986,136	245,335	40,936,755
შემოსვლა	3,334,807	7,690,485	453,836	6,451,116	3,833,647	356,447	170,867	21,279	22,312,484
გასვლა	-	-	(52,171)	(17,310)	-	(47,551)	-	(1,045)	(118,077)
გადატანა	-	260,921	-	-	(260,921)	-	-	-	-
01.01.2018	5,619,519	21,575,682	1,785,978	24,233,310	5,927,660	1,566,441	2,157,003	265,569	63,131,162
შემოსვლა	10,265,128	673,668	595,631	2,030,365	9,375,711	1,505,414	153	121,706	24,576,776
გასვლა	-	-	(53,162)	-	(48,286)	-	-	(1,045)	(102,493)
სესხის დანახარჯი	-	252,940	-	-	804,564	-	-	-	1,054,504
გადატანა	-	6,720,575	648,383	615,617	(8,271,867)	163,922	123,370	-	-
31.12.2018	15,884,647	29,222,865	2,976,830	26,879,292	7,787,292	3,235,777	2,280,526	386,230	88,653,949

თუ შევადარებთ ერთმანეთს კონსოლიდირებული ანგარიშგების ძირითადი საშუალების ცხრილის მონაცემებს 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ მონაცემებს, ვნახავთ რომ ჯგუფთაშორისი წევრების გაერთიანების შედეგად მშობელ საწარმოსთან, მნიშვნელოვნად შეიცვალა ძირითადი საშუალებების ღირებულებები და მოხდა მათი გადაფასება. ჯამში 2018 წლის ბოლოს ძირითადი საშუალებებისა და სხვადასხვა აქტივების საბალანსო ღირებულება 23,679,912 ლარით გაიზარდა (88,653,949 - 64,974,037).

იჯარა

აქტივის კლასიფიცირება ხდება იჯარის საწყისი თარიღით ფინანსურ ან საოპერაციო იჯარად, იმის მიხედვით ხორციელდება აქტივთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და სარგებლის გადაცემა თუ არა. ნებისმიერი სხვა სახის იჯარა, რომელიც განსხვავებულად აღირიცხება, კლასიფიცირდება როგორც, საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარაზე დარიცხული გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. გამონაკლისს წარმოადგენს ის შემთხვევები, როდესაც სხვა სქემა უფრო კარგად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების პერიოდულობას. პირობითი საიჯარო გადასახადი აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელშიც მოდა კონკრეტული ხარჯის გაწევა. ფინანსური იჯარის კაპიტალიზება ხდება იჯარის დაწყებისთანავე, იჯარის საწყისი თარიღისათვის საიჯარო ქონების სამართლიანი ღირებულებასა და მინიმალური საიჯარო გადასახადის დღევანდელ ღირებულებას შორის უმცირესით. რაც შეეხება საოპერაციო იჯარას, მისი გადასახდელების აღიარება ხდება საოპერაციო ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

2015 წელს შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა“-მ პირობითი აუქციონის წესით 30 წლიანი იჯარით სარგებლობის პირობით მიიღო მცხეთის რაიონში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი „გურამიშვილების მარანი“, რომელსაც ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია და მასთან დაკავშირებული რემონტისა და სარგებლობის ხარჯები, რომელიც მოიცავს სხვადასხვა კომუნალურ გადასახადებსა და კეთილმოწყობას, კომპანიას დაეკისრა სრულად. მარნის გარშემორტყმულ ტერიტორიაზე მოეწყო მაღალტექნოლოგიური ყურძნის გადამამუშავებელი ქარხანა, სადგეუსტაციო დარბაზები და სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტები. აქვე ხდება ვენახებიდან აღებული მოსავლის დაბინავება და დაწურვა. ჯგუფი აღნიშნული მარნის გადმოცემას განიხილავს როგორც საოპერაციო იჯარად, ვინაიდან ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე ფასს16-ის მიხედვით არ კლასიფიცირდება ფინანსური იჯარის კრიტერიუმები. მარანს აქვს ისტორიული დატვირთვა, რადგან ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შემდგომ ღვის დაწურვა შეჩერდა ამ ისტორიულ მარანში. კომპანიამ კი შეძლო და აღადგინა ადრინდელი იერი. ამავე პერიოდში კომპანიას გრძელვადიანი იჯარით გადაეცა ილია ჭავჭავაძის სახლმუზეუმის მიმდებარედ არსებული 8 ჰექტარი ფართობის სავენახე მიწები 49 წლით. ამ მიწაზე უკვე დარგულია უიშვიათესი და მოძველებული ქართული ჯიშის ყურძნის სხვადასხვა სახეობები, ასევე მოხდა თანამედროვე წყალმომარაგების სისტემებით უზრუნველყოფა. ფასს16-ის განმარტებით საწარმომ აღნიშნული სტანდარტი არ

უნდა გამოიყენოს სოფლის მეურნეობა“ - მოქმედების სფეროში მყოფი ბიოლოგიური აქტივების იჯარისა, რომლებსაც მოიჯარე ფლობს აღნიშნულ.

ბიოლოგიური აქტივები

კომპანია თავის საქმიანობის სფეროდან გამომდინარე ფლობს ბიოლოგიურ აქტივებს, როგორცაა ვენახები, თხილის ხეები და სხვა. მრავალწლიანი ნარგავების აღრიცხვისათვის ჯგუფი იყენებს თვითღირებულების მეთოდს. საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის მხრიდან მოხდა რამდენიმე ახალი ვენახის გაშენება, რომელიც ბალანსში ასახულია, როგორც ძირითადი საშუალება. ვაზის გაშენებაზე გაწეული ხარჯები ისეთი ხარჯებია, რომლებიც კომპანიის მხრიდან გაწეულ იქნა ვაზის ჩასაყრელად და მოსავლელად პირველი მოსავლის მოწევამდე. პირველი მოსავლის აღების შემდეგ, დაგროვილი დანახარჯები, როგორცაა ვენახის მოვლა-პატრონობა, მიეკუთვნება მწიფე ვენახებს და მათი სასარგებლო მომსახურების ვადაზე ხდება ცვეთის დარიცხვა.

ბიოლოგიური აქტივების თვითღირებულება მოიცავს შემენის ფასსა და უშუალოდ მასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც გაიწია იმისათვის რომ მრავალწლიანი ნარგავები მოყვანილ იქნენ შესაბამის კონდიციამდე და კომპანიის უმაღლესი მენეჯმენტის მიერ დასახული მიზნების მისაღწევად მზად ყოფილიყვნენ. მრავალწლიანი ნარგავების აღრიცხვა ხდება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთისა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ამდენად კომპანიის მხრიდან ვენახის აღიარება არ ხდება ბიოლოგიურ აქტივად, და იგი კლასიფიცირდება, როგორც ძირითადი საშუალება, რომელსაც ერიცხება ცვეთა, მის სასარგებლო ვადის გამოყენებაზე დაყრდნობით. როგორც ბასს 41-შია განმარტებული, აღნიშნული სტანდარტი არ გამოიყენება ნაყოფის მომცემ ბიოლოგიური აქტივების მიმართ, თუმცა უშუალოდ ეხება ნაყოფის მომცემი კულტურების საბოლოო პროდუქტთან, მაგალითად: უშუალოდ ყურძენთან და არა ვენახთან. სტანდარტშივეა მითითებული, რომ ბასს 41-ს გადავყავართ ბასს 16-ზე, რის მიხედვითაც ვენახის აღიარება უნდა მოხდეს როგორც ძირითად საშუალებად, მიუხედავად იმისა, რომ იგი ნაყოფის მომცემი მცენარეა. სოფლის მეურნეობის პროდუქცია აღირიცხება ბასს 41-ის „სოფლის მეურნეობა“ თანახმად. ყურძნის მოსავლის აღება ხდება შემოდგომით. მოსავლის აღებამდე გაიწევა ნაყოფის მოყვანის ხარჯები, რომელთა მომდევნო პერიოდზე გადატანა ხდება, სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაწილში. შემოდგომაზე, მოსავლის აღების შემდეგ, ყურძენი ხდება სოფლის მეურნეობის პროდუქცია, შესაბამისად მისი შეფასება ხდება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით ბასს 41-ის შესაბამისად და სამართლიანი ღირებულების ცვლილების შედეგად

ყოველგვარი შემოსულობა ან ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. ამდენად, ცვეთის დარიცხვა მოცემული აქტივების ჯგუფზე ხდება მთლიანად, მათის სასარგებლო მომსახურების ვადების პერიოდში. კომპანია მრავალწლიანი ნარგავების ჯგუფზე ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს იყენებს. ცვეთის დარიცხვა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც აქტივი მზადაა და იმ კონდენციაშია, როდესაც უკვე შესაძლებელია მათგან სარგებლის მიღება და დასახული მიზნის მიღწევა. ბიოლოგიურ აქტივებისა და მრავალწლიანი ნარგავების სასარგებლო მომსახურების ვადები გათვლილია 20-25 წელზე. სოფლის მეურნეობის პროდუქციის საწყისი აღიარებისას მიღებული შემოსავალი აღიარდება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ყურძნის სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა ხდება მოსავლის სავარაუდო აღების დროისათვის საბაზრო ფასებზე დაყრდნობით. გამომდინარე იქედან, რომ ჯგუფს გააჩნია გარკვეული იშვიათი ჯიშის ვენახებიც, ყურძნის ზუსტი საბაზრო ღირებულების დადგენა შეუძლებელია, ამიტომ ხელმძღვანელობა ღირებულებას ადგენს საკუთარი გამოცდილებისა და დარგის ცოდნის საფუძველზე. გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით შეფასების შედეგი წარმოადგენს ყურძნის პირობით ღირებულებას, აღნიშნული ღირებულების გადატანა ხდება მოსავლის აღების შემდგენ სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაწილში. ბასს 41-ის შესაბამისად საბოლოო სოფლის მეურნეობის პროდუქციის შეფასება ხდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს, ხოლო სამართლიანი ღირებულების შეფასების შედეგად მიღებული შემოსულობების ან ზარალის აღიარება ხდება შემოსავალში ან შემოსულობებში. ბიოლოგიური აქტივები გარდა მრავალწლიანი ნარგავებისა საწყისი აღიარებისას და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით. სოფლის მეურნეობის პროდუქტის მიღებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები ჩამოიწერება პერიოდის ხარჯად.

ბიოლოგიური აქტივები 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად: 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით ირიცხებოდა ვენახები, რომელთა განაშენიანებაც მოხდა ჯგუფის მიერ აღებული სესხებით. ამავე პერიოდების მდგომარეობით ჯგუფს სს საქართველოს ბანკისაგან აღებული აქვს სესხები, რომლებიც უზრუნველყოფილია კომპანიის არსებული და მომავალში შეძენილი მოძრავი და უძრავი ქონებით. აღნიშნულ ქონებას მიეკუთვნება ძირითადი საშუალებები, ბიოლოგიური აქტივები და მარაგები. ამავდროულად ჯგუფს არ აქვს იმის უფლება, რომ აღნიშნული მიწა ან შენობა გაყიდოს ან გამოიყენოს იპოთეკის საგნად გამსესხებლის თანხმობის გარეშე. ამავე

საანგარიშგებო პერიოდში აღებულია სესხი სს ბანკი რესპუბლიკისაგან, რომელიც უზრუნველყოფილია 2016 წელს შეძენილი მიწითა და ვენახებით.

ისტორიული ღირებულება	ვენახები	სხვა	სულ
31.12.2016	2,353,829	37,047	2,390,876
შემოსვლა	278,939	332,076	611,015
01.01.2018	2,632,768	369,123	3,001,891
გადმოტანა ძირითადი საშუალებიდან	613,453	801,773	1,415,226
სესხის პროცენტის კაპიტალზიაცია	-	88,473	88,473
31.12.2018	3,246,221	1,259,369	4,505,590
დაგროვილი ცვეთა			
31.12.2016	(294,710)	-	(294,710)
ცვეთა	(111,702)	-	(111,702)
01.01.2018	(406,412)	-	(406,412)
ცვეთა	(136,591)	-	(136,591)
31.12.2018	(543,003)	-	(543,003)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
01.01.2018	2,226,356	369,123	2,595,479
31.12.2018	2,703,218	1,259,369	3,962,587

მეტი ინფორმაციისათვის შეგვიძლია განვიხილოთ მოწეული ყურძნის მოცულობები 2017 და 2018 წლებში. ხელმძღვანელობის აზრით, მოწეული ყურძნის თვითღირებულება მის სამართლიან ღირებულებას უახლოვდება, მოსავლის აღების მომენტში გასაყიდი ღირებულების გამოკლებით. მოწეული ყურძნის მთლიანი რაოდენობა 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული მდგომარეობით იყო 773 ტონა. იხილეთ ცხრილი N1

ცხრილი N1

დასახელება	2018	2017
საფერავი	343	270
რქაწითელი	169	135
გორული მწვანე	167	123
შარდონე	109	87
თავკვერი	79	63
შავკაპიტო	63	42
კაბერნე სოვინიონი	61	49
სულ	1,114	852

დასახელება	2018	2017
სოვინიონ ბლანქი	58	46
მუსკატი	21	17
ჩინებული	16	-
სირა	12	10
პეტიტ ვერდოტი	12	10
ორბელური ოჯალეში	2	-
პინო ნუარი	2	-
სულ	123	83

არამატერიალური აქტივები

ჯგუფს ბალანსზე აღრიცხული აქვს არამატერიალური აქტივები, როგორცაა ლიცენზიები, ღვინის წარმოების ტექნოლოგიები და სხვა. ცალკეული არამატერიალური აქტივის პირველადი აღიარება ხდება თვითღირებულებით. საწარმოთა გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი და შეძენილი არამატერიალური აქტივების ღირებულება წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას შესყიდვის მომენტისათვის. თავდაპირველი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივების აღრიცხვა ხდება თვითღირებულებით რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და აკუმულირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალი. კომპანიის შიგნით წარმოქმნილი არამატერიალური აქტივების კაპიტალიზაცია, გარდა კაპიტალიზებული კვლევა-განვითარების ხარჯებისა, არ ხდება და ხარჯი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომლის განმავლობაშიც ეს ხარჯი გაიწია.

ჯგუფის არამატერიალურ აქტივებს აქვს გამოყენების განსაზღვრული გამოყენების ვადა. შეზღუდული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება ეკონომიკური მომსახურების ვადის განმავლობაში. იმისათვის რომ განისაზღვროს გაუფასურების ოდენობა, ხდება მათი გადაფასება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, ან მაშინ როდესაც არსებობს რაიმე ნიშანი, არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურებაზე. მოსალოდნელი სარგებლის გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის ცვლილებაზე შესაბამისად ცვლის ამორტიზაციის პერიოდს ან მეთოდს, რაც თავის მხრივ აისახება როგორც სააღრიცხვო შეფასებაში მომხდარი ცვლილება. ის ხარჯები, რომლებიც დაერიცხება შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს, აღიარდება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, არამატერიალური აქტივების შესაბამისი ხარჯების კატეგორიაში. ჯგუფის პოლიტიკის შესაბამისად არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსავალი ანა ზარალი ფასდება, როგორც გაყიდვის შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავლებსა და ამავე აქტივების საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობის თანხით და აისახება მოგება ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

მოთხოვნები

კომპანიას შემოსავლების აღიარების გარკვეული პოლიტიკა გააჩნია, კერძოდ შემოსავლის აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტული საქონელი საბოლოო მომხმარებელს გადაეცემა, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის.

კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- აუცილებელია მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულებების იდენტიფიცირება
- ხელშეკრულებით გაწერილი ვალდებულებების განსაზღვრა
- მხარეებს შორის შეთანხმებული ფასის განსაზღვრა
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან
- ხელშეკრულების მეორე მხარის მიერ დაკისრებული ვალდებულებების შემდგომ შემოსავლების აღიარება

კომპანიის ძირითად შემოსავალს წარმოადგენს ღვინისა და ალკოჰოლური სასმელის რეალიზაცია სხვადასხვა ბაზრებზე, როგორ ადგილობრივზე, ასევე საერთაშორისოზე. ალკოჰოლური პროდუქციის მიწოდებასთან ერთად, კომპანია ეწევა მომხმარებლებისათვის სასტუმროსა და მასთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებასაც.

2018 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოდგენილია შემდეგნაირად: (ლარი)

დასახელება	12.31.2018	1.1.2018
სავაჭრო მოთხოვნები	20,332,644	21,563,307
სხვა მოთხოვნები	-	259,866
საექვო ვალები რეზერვი	(2,969,444)	(2,334,615)
სულ ფინანსური მოთხოვნები	17,636,220	19,488,558
ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები	1,545,102	1,216,895
ბიოლოგიურ აქტივების შეძენაზე გადახდილი ავანსები	1,159,948	-
სხვა ავანსები	1,324,371	927,117
ავანსები პერსონალზე	51,879	85,251
წინასწარ გადახდილი გადასახადები	308,608	753,988
სულ მოთხოვნები	2,202,6128	2,247,1809

კომპანია ფასს-9-ზე გადასვლისათვის იყენებს გამარტივებულ მეთოდს, იმისათვის რომ ზუსტად განისაზღვროს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დაჯგუფდა მსგავსი ხანდაზმულობისა და საკრედიტო რისკის მიხედვით.

იმისათვის, რომ სწორედ განსაზღვრულიყო მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი, კომპანიამ გამოიყენა ბოლო სამი წლის საკრედიტო გაუფასურების გამოცდილება. ისტორიული მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთი დაკორექტირდა არსებული და სამომავლო მაკროეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, რომელიც გავლენას ახდენს ჯგუფის მომხმარებლებზე. სამუშაო პროცესში ასევე გათვალისწინებული იყო სხვადასხვა მაკროეკონომიკური ფაქტორები, უმუშევრობისა და ინფლაციის დონეები და სხვა.

2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით სავაჭრო მოთხოვნების ვადა გადაცილება და მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის ანარიცხი წარმოდგენილია შემდეგნაირად: (ლარი)

დასახელება	2018	გაუფასურების განაკვეთი	გაუფასურება 2018	2017	გაუფასურების განაკვეთი	გაუფასურება 2017
მიმდინარე	15,467,935	1%	(154,679)	16,836,062	1%	(168,361)
<30 დღეზე ვადაგადაცილება	1,616,592	10%	(161,659)	1,580,932	10%	(158,093)
31-90 დღის ვადაგადაცილება	576,291	20%	(115,258)	849,677	20%	(169,935)
91-180 დღის ვადაგადაცილება	533,189	40%	(213,276)	630,770	40%	(252,308)
181-365 დღის ვადაგადაცილება	290,283	70%	(203,198)	1,132,715	70%	(792,901)
365 დღეზე მეტი	1,848,374	100%	(1,848,374)	793,017	100%	(793,017)
სულ	20,332,664		(2,696,444)	21,823,173		(2,334,615)

გაუფასურების რეზერვი	(2,696,444)			(2,334,615)		
წმინდა მოთხოვნები	1,763,6220		(2,696,444)	19,488,558		(2,334,615)

როგორც მოცემული ცხრილიდან ჩანს, კომპანიას სრულად აქვს შესწავლილი და გაანალიზებული მიმდინარე მოთხოვნების პროგნოზი. გათვალისწინებულია ყველა ის შესაძლო რისკი, რომელმაც შეიძლება, რომ გავლენა იქონიოს კომპანიის დებიტორული მოთხოვნების დაფარვაზე. ცხრილიდან კარგად ჩანს, რომ 2017 წელთან შედარებით 2018 წელს მიმდინარე მოთხოვნების გაუფასურების ზარალის მაჩვენებელი 14%-ით არის გაზრდილი, რადგანაც 2017 წელთან შედარებით წმინდა მოთხოვნების საერთო მაჩვენებელი 361,829 ლარით არის გაზრდილი. ყოველივე ეს მიუთითებს იმაზე, რომ მოთხოვნების ზრდასთან ერთად, კომპანიის მენეჯმენტი იღებს სწორ გადაწყვეტილებას და ვადაგადაცილებული მოთხოვნებისათვის ზრდის მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის ანარიცხის მაჩვენებელს. აგრეთვე განვიხილოთ სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა, რომელიც მოცემულია შემდეგნაირად ცხრილში:

დასახელება	2017	2018
ბალანსი წლის დასაწყისში	(2,011,946)	(2,144,501)
მიმდინარე პერიოდის გაუფასურების ხარჯი	(132,555)	(486,871)
ჩამოწერა	-	125,042
სულ 31 დეკემბრის მდგომარეობით	(2,144,501)	(2,506,330)

2017 წლიდან 2018 წლამდე კარგად ჩანს, თუ როგორ იზრდება გაუფასურების რეზერვი და მიმდინარე პერიოდის ხარჯი, რომელიც გაიზარდა 354,316 ლარით 1 წლის განმავლობაში, (486,871-132,555).

მარაგები

კომპანიას გაჩნია მარაგების აღიარების თვითღირებულების მეთოდით, როდესაც ბალანსს ადგენს, თვითღირებულებასა და სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების

თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავებისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მათ ტრანსპორტირებასთან და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთი ტიპის დანახარჯების ერთობლიობას, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული ერთეული პროდუქციის წარმოებასთან. ასევე მოიცავს იმ მუდმივ და ცვლად ზედნადებ დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია ნედლეულის მზა პროდუქციამდე გარდასაქმნელად, გადამუშავების პროცესში. წარმოებული მარაგებისა და დაუმთავრებელი წარმოების შემთხვევაში, მარაგების ღირებულება მოიცავს შესაბამის, ჩვეულებრივ პირობებში არსებულ, წარმოების ზედნადებ ხარჯების წილს. ჩვეულებრივ საქმიანობის პირობებში სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელ გასაყიდ ფასს, რომელსაც აკლდება დასრულებისა და გაყიდვის მოსალოდნელი ხარჯები. ჯგუფის მხრიდან არ ხდება ბასს-23-ს (ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები), საკრედიტო ხარჯებთან მიმართებაში, რომელიც პირდაპირ უკავშირდება მზარ პროდუქციას, კერძოდ კი ღვინის, რომლის წარმოებაც ხდება მრავალჯერადად, და გამოშვებულია დიდი ოდენობით განმეორებად საფუძველზე.

ბიოლოგიური აქტივებიდან მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქტის თავდაპირველი აღიარება და შეფასება ხდება ნაყოფის მიღების მომენტში გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით, რომელიც შემცირებულია რეალური ღირებულებით და აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. სოფლის მეურნეობის პროდუქტის მიღებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ჩამოწერა კი ხდება პერიოდის ხარჯად.

თითოეული პროდუქტის ამჟამინდელ მდგომარეობამდე მოსაყვანად გაწეული ხარჯების აღიარება ხდება შემდეგნაირად:

- ნედლეული: შესყიდვის ხარჯი, საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით
- მზა პროდუქცია და დაუმთავრებელი წარმოება, რომელიც მოიცავს მასალებისა და მუშახელის პირდაპირ დანახარჯებს, ასევე საწარმოო ზედნადების წილს ჩვეულებრივ საწარმოო სიმძლავრის პირობებში.

როდესაც კომპანიის მხრიდან ხდება მარაგების გაყიდვა, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მოხდა შესაბამისი შემოსავლის მიღება. მარაგების თვითღირებულების გამოთვლა ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. კომპანიის მზა პროდუქცია მოიცავს

გასაყიდად ჩამოსხმულ და გამზადებულ ღვინის მარაგებს, რომელთა შენახვაც ხდება სპეციალურ მარნებში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯგუფი ცალკე ფლობს რამდენიმე რესტორანსაც, სადაც დამოუკიდებლად იყიდება მათსავე ჩამოსხმული ღვინო. მზა პროდუქციის შენახვა და დასაწყობება ხდება როგორც შუშის ბოთლებში ჩამოსხმით, ასევე სპეციალურ მუხის კასრებში დაძველებით. ჯგუფს ბალანსზე უზის დაუმთავრებელი წარმოებაც, რომელიც თავის თავში მოიაზრებს წარმოების პროცესში არსებულ ღვინოსა თუ სხვა ალკოჰოლურს სასმელებს. მათი შეფასება და აღრიცხვა ხდება უშუალოდ მათი თვითღირებულებისა და მათ მოვლა პატრონობაზე გაწეული დანახარჯების ჯამით, რომელიც გაწეულია კონკრეტული პერიოდისათვის.

დასახელება	12.31.2018	01.01.2018
მზა პროდუქცია	3,005,939	2,757,553
დაუმთავრებელი წარმოება	51,450,362	37,453,282
ნედლეული და მასალები	746,022	836,051
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	693,596	761,782
სულ	55,895,919	41,808,668

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია საქმიანობის სფეროდან გამომდინარე ფინანსური ვალდებულებების აღიარებას აწარმოებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. სხვა ფინანსური ვალდებულებები თავის მხრივ მოიცავს: ბანკებისაგან მიღებულ სესხებს, სავაჭრო ვალდებულებებსა და მოკლევადიან ფულად ვალდებულებებს.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე სხვა ფინანსური ვალდებულებების შეფასება თავდაპირველი აღიარებისას ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომლების პირდაპირაა დაკავშირებული კონკრეტული ვალდებულების წარმოქმნასთან. კომპანია აქვს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების განეტვის პოლიტიკა, რაც გულისხმობს, რომ განეტვა ხდება მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არის შეზღუდული და კომპანია აპირებს რომ ანგარიშსწორება განახორციელოს

ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

განვიხილოთ და შევადაროთ ერთმანეთს კონსოლიდაციამდე და კონსოლიდაციის შემდეგ არსებული სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2018 წლის 1 იანვრისა და 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2018 წლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში: (ლარი)

დასახელება	01.01.2018	31.12.2018
სავაჭრო ვალდებულებები	2,777,909	5,389,699
გადასახდელი ხელფასები	68,618	51,604
სხვა ვალდებულება	1,173	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,847,700	5,441,303
საგადასახადო ვალდებულებები	1,487,480	2,710,913
სახელშეკრულებო ვალდებულებები	-	104,324
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,335,180	8,256,540

იმის გამო, რომ ვალდებულებების დაფარვის ვადა არის საკმაოდ მოკლე, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში, ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას. ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. აღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი მიზანია უზრუნველყონ ჯგუფის ფინანსური მოთხოვნები.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებიდან: (ლარი)

დასახელება	01.01.2018	31.12.2018
სავაჭრო ვალდებულებები	2,638,766	5,266,226
გადასახდელი ხელფასები	58,421	49,653
სხვა ვალდებულება	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,697,187	5,315,879
საგადასახადო ვალდებულებები	1,279,814	2,676,293
სახელშეკრულებო ვალდებულებები	-	104,326

სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,977,001	8,096,498
-----------------------------------	-----------	-----------

როგორც ცხრილებიდან ჩანს, კომპანიის სხვა სავაჭრო ვალდებულებები და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ერთი ორად გაიზარდა კონსოლიდაციის შედეგად. ყოველივე ეს კი განაპირობა იმ ფაქტმა, რომ როგორც ფასს 10-ის სტანდარტში წერია, „კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გაერთიანებული უნდა იყოს მშობელი საწარმოსა და მისი შვილობილი საწარმოების აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალისა, შემოსავლების, ხარჯებისა და ფულადი ნაკადების ანალოგიური მუხლები“ (ფასს-10).

შემოსავლები

ჯგუფის შემოსავლის უმეტესი ნაწილი წარმოდგენილია ღვინისა და სხვა ალკოჰოლური სასმელებია რეალიზაციით, როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ასევე საზღვარგარეთ. ღვინის რეალიზაციების გარდა კომპანია შემოსავალს იღებს მომხმარებლისათვის სასტუმროს და მასთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებითაც.

რეალიზებული პროდუქციიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება დროის გარკვეულ მომენტში, კერძოდ, მაშინ როდესაც საბოლოოდ ხდება საბოლოო მომხმარებელზე კონტროლის უფლების გადაცემა მიწოდებ საქონელზე. ექსპორტის შემთხვევაში კონტროლის გადაცემად შეიძლება განხილული იყოს, როგორც გაგზავნის, ასევე მიღების ადგილიც, რაც დამოკიდებულია ინკოტერმის პირობებზე და მომხმარებელთან დადებულ ხელშეკრულებაზე. განვიხილოთ კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახული შემოსავალი 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის (ლარი):

დასახელება	2017	2018
შემოსავალი ალკოჰოლური სასმელების რეალიზაციიდან:		
შემოსავალი ექსპორტიდან	60,456,223	72,943,597
შემოსავალი ადგილობრივ ბაზარზე საბითუმო რეალიზაციიდან	3,377,775	4,081,687
შემოსავალი ადგილობრივ ბაზარზე საცალო რეალიზაციიდან	1,431,707	3,987,541
შემოსავალი სასტუმრო და სარესტორნო მომსახურებიდან	1,573,407	3,312,906
შემოსავალი ხილის კონსერვების რეალიზაციიდან	820,624	1,198,174
სულ	67,659,736	84,523,905

ასევე შეგვიძლია განვიხილოთ საექსპორტო ბაზრის რეალიზაციის დინამიკა 2018 და 2017 წლებისათვის:

პროდუქციის დასახელება	2018	2017
კონიაკი	7,172,133	7,234,722
ღვინო	6,846,580	4,379,600
ჭაჭა	3,960	2,262
სულ	14,022,673	11,616,584

ინდივიდუალურ ანგარიშგებაში ასახული შემოსავალი 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის (ლარი):

დასახელება	2017	2018
შემოსავალი ალკოჰოლური სასმელების რეალიზაციიდან:		
შემოსავალი ექსპორტიდან	60,456,223	72,943,597
შემოსავალი ადგილობრივ ბაზარზე საბითუმო რეალიზაციიდან	3,371,261	3,811,020
შემოსავალი ადგილობრივ ბაზარზე საცალო რეალიზაციიდან	1,411,596	2,987,541
შემოსავალი სასტუმრო და სარესტორნო მომსახურებიდან	1,573,407	3,310,266
სულ	66,812,488	83,052,424

როგორც ვხედავთ კონსოლიდაციის შედეგად 2018 წელს შემოსავლების მხრივ მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა, კერძოდ, ჯგუფის წევრების მხრიდან ერთ-ერთი შვილობილი კომპანიიდან დაემატა შემოსავალი ხილის კონსერვების რეალიზაციიდან, რამაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია შემოსავლების ფორმირებაზე. ასევე 2018 წლის ბოლოს 2%-ით შეიცვალა შემოსავლების საერთო ოდენობა და 84,523,905 ლარამდე გაიზარდა. ყოველივე ეს კი ჯგუფის ხელმძღვანელობას საშუალებას აძლევს სწორედ შეაფასოს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა.

ხარჯები

ჯგუფის ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. კომპანიის ხარჯების უდიდესი ნაწილი მოდის წარმოების პროცესის სრულყოფაზე და გამართვაზე. დანახარჯების დიდი წილი უკავია ასევე ღვინის წარმოების პროცესზე გაწეულ ხარჯებს, იქნება ეს საჭირო რაოდენობის პროდუქტის შექმნა, მისი ალკოჰოლურ სასმელად გარდასაქმნელად გაწეული სამუშაოები, თუ მარკეტინგული ხარჯები. გაყიდული საქონლის თვითღირებულება მოიცავს: მასალების, პირდაპირი ხელფასების, ცვეთისა და ამორტიზაციისა და სხვა სახის დანახარჯებს.

მასალების ხარჯში მოიაზრება, ასევე იმ ვენახების შენახვის ხარჯები, რომლებიც კომპანიას აქვს გაშენებული და საიდანაც ხდება საჭირო ყურძნის გარკვეული ნაწილის მოპოვება. აღნიშნული ხარჯები დაკავშირებულია ვენახების მოვლასთან. რაც შეეხება მუშა-ხელის დანახარჯებს, მისი გარკვეული ნაწილი არის მუდმივი, რომელიც დაკავშირებულია ჩამოსხმული ღვინის შენახვასა და მოვლა-პატრონობასთან. რაც შეეხება სეზონურ მუშა-ხელს, მათი დაქირავება ხდება მოსავლის აღების პერიოდში. ჯგუფს გააჩნია სპეციალური ღვინის შესანახი მარნები, სადაც განთავსებულია სპეციალური ლაბორატორია ღვინის შესამოწმებლად და დასაქმებულები არიან სპეციალისტები მუდმივ განაკვეთზე. დანახარჯების დიდი ნაწილი მოდის აგრეთვე ნედლეულის საწყობამდე მიტანაზე, მათ ჩამოცლაზე სპეციალურ გადამამუშავებელ აპარატებში და დაწურვაზე. ამდენად თვითღირებულების გათვლისას გათვალისწინებულია მხოლოდ პირდაპირი ხარჯები - ნედლეულის ღირებულება, ელ. ენერჯია., ბუნებრივი აირი შესაფუთი მასალა და პირდაპირი ხელფასი. პირდაპირ ხარჯებში შედის ასევე ჩამოსასხმელი ბოთლის შესყიდვის ღირებულებაც, რადგან ღვინის ბოთლების შექმნა ქართულ ბაზარზე საკმაოდ ძნელია, ვინაიდან მას უნდა ქონდეს გარკვეული მახასიათებლები, რომ დააკმაყოფილოს გარკვეული პირობები. ქართულ ბაზარზე კი მსგავსი პროდუქციის შექმნა საკმაოდ მაღალ ფასებთანაა დაკავშირებული. კომპანია ახდენს მხოლოდ საბითუმო რეალიზაციას, აქვე უნდა აღინიშნოს რომ, კომპანია არ ფარავს პროდუქციის ტრანსპორტირების ღირებულებას. ლოგისტიკურ ხარჯებს ფარავს მყიდველი.

ჯგუფს გააჩნია მარკეტინგული ტიპის ხარჯებიც, რომელსაც აქტიურად ეწევა საკუთარი პროდუქციისა და ბრენის ცნობადობის ასამაღლებლად. პერიოდულად იმართება სხვადასხვა სახის ღონისძიებები, ასევე კომპანია აქტიურად ეწევა სხვადასხვა ისტორიული მარნებისა თუ კულტურული ძეგლების რესტავრაციას. ყოველივე ეს კი არაპირდაპირი ხარჯია.

2017, 2018 წლების დასრულებული მდგომარეობით აღნიშნული ტიპის დანახარჯები იყო შემდეგნაირად გადანაწილებული: (ათასი ლარი)

დასახელება	2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
მასალების ხარჯი	12,399	8,595
პირდაპირი ხელფასი	1,587	1,240
ცვეთა და ამორტიზაცია	276	538
სხვა	458	300

სულ გაყიდული საქონლის თვითღირებულება	14,720	10,673
---	--------	--------

განვიხილოთ გაყიდვებისა და მიწოდების ხარჯები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის (კონსოლიდირებული) (ლარში):

დასახელება	2017	2018
ხელფასის ხარჯი	(1,240,235)	(1,738,151)
მიწოდების ხარჯი	(1,067,594)	(1,587,648)
რეკლამის ხარჯი	(1,226,286)	(959,212)
სხვა	(341,374)	943,710
სულ	(3,875,489)	(4,722,116)

ხარჯების ანალიზიდანაც ირკვევა, რომ ჯგუფის საერთო ხარჯების ზრდა ფიქსირდება კონსოლიდაციის შედეგად, რაც გამოწვეულია შვილობილი კომპანიების ხარჯების მუხლების გაერთიანებით მშობელ კომპანიასთან.

განვიხილოთ გაყიდვებისა და მიწოდების ხარჯები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის (კონსოლიდირებული) (ლარში):

დასახელება	2017	2018
ხელფასის ხარჯი	(1,240,235)	(1,738,151)
მიწოდების ხარჯი	(1,058,842)	(1,503,140)
რეკლამის ხარჯი	(1,141,783)	(948,622)
სხვა	(341,375)	(431,723)
სულ	(3,782,235)	(4,621,636)

საერთო ჯამში, 2018 წლის ბოლოს გაყიდვებისა და მიწოდების ხარჯები საერთო ოდენობა 3%-ით გაიზარდა და ჯამში შეადგინა 4,722,116 ლარი შეადგინა.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კომპანიას განსაზღვრული აქვს ჯგუფის წესდების მიხედვით. საწესდებო კაპიტალის წესდების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. „ავტორიზებული კაპიტალის აღიარება ხდება როგორც საწესდებო კაპიტალის იმ მოცულობით, რა მოცულობითაც შევსებულია კაპიტალი დამფუძნებლის მიერ“. საწესდებო კაპიტალის აღიარება ხდება იმ შენატანების რეალური ღირებულებით, რომელთა შეტანა ხორციელდება დამფუძნებლების მიერ.

კონსოლიდირებულ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის (ლარში):

დასახელება	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
01.01.2017		2,000	59,940,733	59,942,733
მოგების განაწილება		-	(3,880,885)	(3,880,885)
პერიოდის სრული შემოსავალი		-	23,278,568	23,278,568
21.12.2017		2,000	79,338,416	79,340,416
სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება - ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები		-	(190,114)	(190,114)
გადაანგარიშებული ნაშთი 2018 წლის 1 იანვრისათვის		2,000	79,148,302	79,150,302
მოგების განაწილება		-	(3,403,161)	(3,403,161)
კაპიტალში არაფულადი აქტივების შეტანა		406,374	-	406,374
პერიოდის სრული შემოსავალი		-	23,896,548	23,896,648
სულ		408,374	99,641,689	100,050,063

ჯგუფი კაპიტალთან დაკავშირებულ რისკების მართვას ახორციელებს შესაბამისი პოლიტიკის გატარების შედეგად, ყოველივე ეს აუცილებელია იმისათვის, რომ კომპანიამ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და შეძლოს დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, რაც თავის თავში მოიაზრებს დივიდენდის გაცემასა და მომხმარებელთა ინტერესების დაკმაყოფილებას. ყოველივე ეს შესაძლებელია მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვით. როგორც კომპანიის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იკითხება, ჯგუფის ხელმძღვანელობა რეგულარულად აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მიმოხილვას. "ასეთი განხილვების ფარგლებში, ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფი აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას დივიდენდების გაცემით, აღებული სესხის თანხით კაპიტალის ზრდით და არსებული სესხების დაფარვით".

იმისათვის, რომ ზუსტად დავინახოთ, თუ რა ცვლილებები მოხდა კაპიტალში კონსოლიდაციისას, განვიხილოთ 2018 წლის ინდივიდუალური კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის (ლარში)

დასახელება	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
01.01.2017		2,000	62,337,313	62,339,313
მოგების განაწილება		-	(3,880,885)	(3,880,885)
სრული შემოსავალი		-	24,439,905	24,439,905
31.12.2017		2,000	82,896,333	82,898,333
მოგების განაწილება		-	(3,403,161)	(3,403,161)
კაპიტალში შენატანი		406,374	-	406,374
სრული შემოსავალი		-	24,117,319	24,117,319
31.12.2018		408,374	103,610,491	104,018,865

როგორც ვხედავთ 2018 წლის ბოლოს კონსოლიდაციის შედეგად გაუნაწილებელი მოგების 103,610,491 ლარიდან შემცირდა 99,641,689 ლარამდე. ხოლო საწესდებო კაპიტალი კონსოლიდაციის შემდგომ კვლავაც უცვლელი დარჩა.

დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომი დაყოფილია ორ, თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილებად. თავდაპირველად, თეორიულ ნაწილში მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პრინციპები და მეთოდები, რა დაშვებებზე დაყრდნობით ხდება მისი მომზადება. პრაქტიკულ ნაწილში კი განხილულია კონკრეტული კომპანიის მაგალითზე მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. პრაქტიკული მაგალითისათვის განვიხილეთ შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ 2018 წლის კონსოლიდირებული ანგარიშგება.

ჩატარებული ანალიზის შედეგად ნათლად ჩანს, რომ 2018 წლის 2017 წელთან შედარებით კომპანიის ფინანსური მდგომარეობა არის გაუმჯობესებული, რაც ჩანს იმით, რომ მოხდა რამდენიმე კომპანიის კონტროლის ქვეშ დაქვემდებარება და კონსოლიდაცია.

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ 2018 წელს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესებულია წინა წელთან შედარებით, რაც გამომდინარეობს მთლიანი აქტივების ზრდით, კაპიტალში დამატებითი შენატანების განხორციელებით და ვალდებულებების შემცირებით. ძირითადი საშუალებების ანალიზიდან ირკვევა, რომ კომპანიას გააჩნია გადაფასების რეზერვი და ახორციელებს ძირითადი საშუალებების გადაფასებას, მინიმუმ წელიწადში ერთხელ ან როგორც კი ამის საჭიროება დგება. ყოველივე ეს ამცირებს იმის რისკს, რომ ძირითადი საშუალებები რეალურ ღირებულებაზე ნაკლებ ფასად იქნეს შეფასებული ან მათი გამოყენების ვადები იყოს არასწორად გადაანგარიშებული.

კომპანიამ 2018 წლის განმავლობაში დაფარა გრძელვადიანი სესხების გარკვეული ნაწილი, თუმცა ამავე პერიოდში ფიქსირდება ახალი გრძელვადიანი სესხების აღებაც, კერძოდ საქართველოს ბანკისაგან, რომელიც უზრუნველყოფილია კომპანიის არსებული და მომავალში შეძენილი მოძრავი და უძრავი ქონებით. აღნიშნული სესხების აღების საფუძველია ვენახების გასაშენებლად საჭირო თანხების მოზიდვა. ბანკი სესხს გასცემს საბაზრო პროცენტით. აქ პრობლემური საკითხია ის, რომ კომპანიას ფულადი სახსრების მოძიება უწევს საბანკო დაწესებულებებიდან და ალტერნატიული გზებით ვერ ახერხებს ფულადი ნაკადების მოზიდვას.

ფინანსური სტაბილურობის შეფასებისას გაირკვა, რომ კომპანიას საანგარიშგებო წელს გააჩნდა აბსოლუტურად მდგრადი ფინანსური მდგომარეობა. ამავდროულად ხდებოდა საკუთარი კაპიტალის ყოველწლიურად გაზრდა დამატებითი შენატანების ხარჯზე და

მცირდებოდა მთლიანი ვალდებულებების წილი კაპიტალსა და ვალდებულებებში. ყოველივე ამან კი განაპირობა ის, რომ ჯგუფი ხდებოდა სულ უფრო დამოუკიდებელი ფინანსურად.

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული მდგომარეობით ჯგუფის საერთო რეალიზაციის მაჩვენებელი 2017 წელთან შედარებით 24,93%-ითაა გაზრდილი. ასევე საექსპორტო ბაზარზე რეალიზებული პროდუქციის რაოდენობა გაზრდილია 20,9%-ით. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საანგარიშგებო წლის ბოლოს ჯგუფის საერთო მოგება წინა პერიოდთან შედარებით გაზრდილი 14,8%-ით, ხოლო EBITA (საოპერაციო მოგება გადასახადებისა და ცვეთის ხარჯის გამოკლებით) - გაზრდილია 12,4%-ით. ჯგუფის ზრდის ხელშემწყობი ფაქტორები იყო: საექსპორტო ბაზარზე წამყვანი პოზიცია, ვერტიკალური ინტეგრაციის სტრატეგია, დივერსიფიცირებული ბიზნესის მოდელი. ამავდროულად 2018 წელს დაფიქსირდა ყურძნის წარმოების მაქსიმუმი, რამაც 245 ათასი ტონა შეადგინა. შპს „კახურმა ტრადიციულმა მეღვინეობამ“ კი საერთო მოსავლის 12% შეიძინა. 2018 წლის ანალიზიდან ირკვევა, რომ ჯგუფი გეგმავს საკუთარი ვენახების გაშენებას, რაც კიდევ უფრო დამოუკიდებელს გახდის ჯგუფს ყურძნის ფასთან მიმართებაში. ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ ჯგუფი აღნიშნულ დარგში მომუშავე სხვა კომპანიებთან შედარებით ბევრად სწრაფად ვითარდება. მარაგების ანალიზიდანაც ირკვევა, რომ 2017 წელთან შედარებით კომპანია ახდენს უფრო მეტი მარაგისა და ნედლეული მობილიზებას და საერთო ჯამში 2018 წლის ბოლოსათვის მარაგების საერთო ღირებულება 55,895,919 ლარს აღწევს, რომელიც მოიცავდა ღვინის მასალებს, დაუმთავრებელ წარმოებას რის შედეგადაც გაიზარდა ჯგუფის ბალანსზე რიცხული მატერიალური მარაგები. ჯგუფს ღვინის წარმოების პროცესში გააჩნია გარკვეული ბუნებრივი დანაკარგებიც, რომელიც ჩნდება ყურძნის დაწურვის პროცესში. აღნიშნული გამოწვეულია ტექნოლოგიური მიზეზით, წარმოების პროცესში ნედლეულის გადამუშავების დროს. ვინაიდან მსგავსი დანაკარგების გარკვეულ ნაწილს არ გააჩნია არანაირი ღირებულება, მათი აღრიცხვა არ ხდება და მათი ღირებულება აისახება პროდუქციის თვითღირებულებაში. ხოლო ისეთი დანაკარგები, როგორცაა მაგალითად ჭაჭა, ასეთ შემთხვევაში შეიძლება რომ შემცირდეს პროდუქციის თვითღირებულება ან იგი მოგება/ზარალის ანგარიშგებაში აისახოს.

ჯგუფი ეფექტურად და რაციონალურად უზრუნველყოფს დებიტორული მოთხოვნების მართვის პოლიტიკასაც. ჯგუფი ატარებს ისეთ პოლიტიკას, რომ უზრუნველყოს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთი, რისთვისაც სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დაჯგუფებული აქვს საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. მოსალოდნელი

გაუფასურების დანაკარგების ანალიზი ეფუძნება ჯგუფის ბოლო 3 წლის საკრედიტო გაუფასურების გამოცდილებას.

მთლიანობაში რომ შევაჯამოთ ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, შეიძლება ითქვას, რომ კომპანია წარმატებით ართმევს თავს თავის საქმიანობს და ერთ-ერთ მოწინავე პოზიციასაც ინარჩუნებს დარგში. დამატებით კარგი იქნებოდა, თუ ჯგუფი შეეცდებოდა განეხორციელებინა მეტი გონივრული ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში მომგებიანობის გასაზრდელად, ასევე გაეფართოებინა ბაზრის წილი და ექსპორტზე გასატანი საქონლის მოცულობა.


გამოყენებული ლიტერატურა

1. ფასს 10 - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება; 2020 წელი;
2. ფასს 16 - იჯარა; 2020 წელი;
3. ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა; 2020 წელი;
4. ბასს 2 - მარაგები; 2020 წელი;
5. ბასს 16 - ძირითადი საშუალებები; 2020 წელი;
6. ბასს 37 - ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები; 2020 წელი;
7. ბასს 38 - არამატერიალური აქტივები; 2020 წელი;
8. ბასს 41 - სოფლის მეურნეობა; 2020 წელი;
9. ფინანსური ანგარიშგება (F7); Kaplan publishing, unit 2 The Business Centre, Molly Millars lane, 2017;
10. კორპორაციული ანგარიშგება; ნ. კვატაშიძე; თბილისი, 2019 წელი;
11. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება (პრეზენტაცია); მომხსენებელი ლევან დაშნიანი; 2020 წელი;
12. What Are Consolidated Financial Statements?; Will Kenton: 2020 Year;
13. Consolidated financial statement; Wikipedia;
14. Consolidated Reports; Christian Hudspeth; 2019 Year;

დანართი

შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ შემოსავლები სექტორების მიხედვით ნაწილდება


შემდეგნაირად:




საექსპორტო ბაზარზე რეალიზაციის დინამიკა:

პროდუქციის დასახელება	2018	2017
	რაოდენობა	რაოდენობა
კონიაკი	7 172 133	7 234 722
ღვინო	6 846 580	4 379 600
თიხა	22 584	748
შუშხუნა ღვინო	144	504
ჭაჭა	3 960	2 262
სულ	14 045 401	11 617 836


ჯგუფის შემოსავალი და მოგება (მლნ ლარი)



ჯგუფის მომგებიანობა:



ჯგუფის გაყიდვები (მლნ ლარი)



კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შეფასებისათვის გამოყენებული ფინანსური კოეფიციენტები:

	2018	2017
ლიკვიდურობის კოეფიციენტები:		
მიმდინარე კოეფიციენტი	2.48	1.48
სწრაფი კოეფიციენტი	0.79	0.54
აქტივების მართვის კოეფიციენტები :		
მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი	0.95	1.64
დღიური გაყიდვების კოეფიციენტი	79.60	85.67
გრძელვადიანი აქტივების ბრუნვის კოეფიციენტი	1.03	1.15
მთლიანი აქტივების ბრუნვის კოეფიციენტი	0.51	0.54
ვალდებულების მართვის კოეფიციენტები :		
პროცენტის გადახდის უნარი	6.67	12.52
EBITDA დაფარვის კოეფიციენტი	0.84	1.56
მომგებიანობის კოეფიციენტები :		
მოგების მარჟა	28.27%	34.41%
უკუგება მთლიან აქტივებზე (ROA)	16.52%	16.09%
უკუგება მთლიან კაპიტალზე (ROE)	23.88%	29.41%